საკმო ამჯამი

№12 (789)
ოთხშაბათი
2 აპრილი,
2025 წ.
ფასი 2 ლ.

ეკონომიკურ ლაღლები



ჯონ ტეფტი

აშშ-ის ელჩი საქართველოში 2005-2009

მე არ მგონია, რომ ეს ომი (2008 წლის აგვისტოს ომი) გარდაუვალი იყო. ამ კონფლიქტში ისე შესვლა, როგორც ეს სააკაშვილმა გააკეთა, პოლიტიკური სიგიჟე იყო...

გამოდით, უნდა დაგთვალოთ!

კვირიდან კვირამდე

გელა ზედელაშვილის პოზიცია

რაღაცას გეტყვით, ოღონდ, ჩვენში დარჩეს, „ნაცებს“ არ გაუმხილოთ!

მოდით, ამჯერად თხრობა პოზიტივით დავიწყოთ, ოღონდ, რასაც ახლა გეტყვით, „ნაცებსა“ და მათთან გათანაბრებულ პირებს არ უთხრათ, ჯერ ერთი, არც დაიჯერებენ და რომც დაიჯერონ, ძალიან ეწყინებათ, დაიბოღმებიან და გასკდებიან.

მოკლედ, წინა კვირის დასაწყისში ოქსფორდის უნივერსიტეტის კეთილდღეობის კვლევის ცენტრმა, გაერო-ს მდგრადი განვითარების ქსელთან და ორგანიზაცია გელაპთან ერთად, მსოფლიო ბედნიერების ანგარიში გამოაქვეყნა.

მერეო? - იკითხავთ თქვენ.

რაღა მერე? მაგათ მსოფლიოში 147 ქვეყნის ცხოვრების დონე შეისწავლეს, 2005-2010 წლების მონაცემები 2022-2024 წლებისას შეადარეს და ისტორიული პროგრესის მხრივ ხუთეულში აღმოვჩნდით. ანგარიშის თანახმად, ხუთივე ლიდერი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მდებარეობს - სერბეთი, ბულგარეთი, საქართველო, ლატვია, რუმინეთი.

„ნაცებს“ რომ ჰკითხოთ, 2005-2010 წლებში გაბრწყინდა საქართველო და ახლა უკუნში, ანუ ჩელიაბინსკში ვიმყოფებით. არადა, გავლენიანი მსოფლიო ორგანიზაციები საპირისპიროს ამბობენ. არა, მე არ ვამტკიცებ, რომ საქართველო უკვე გაბრწყინდა, მაგრამ მიხუინთა ზეობის ხანასთან შედარებით რომ დიდი პროგრესი გვაქვს, ამას არ უნდა ბევრი ლაპარაკი და ფიცი-მტკიცი. გინდათ, ფაქტები აქვე დაგიდოთ? აგერ, ნახეთ: 2024 წელს საქართველოში რეგისტრირებული მანქანების რაოდენობა 1,8 მილიონს მიუახლოვდა. აქედან თბილისში რეგისტრირებულია 750 ათასზე მეტი.

შედარებისთვის - 2012 წელს თბილისში რეგისტრირებული იყო 200 ათასზე ოდნავ მეტი ავტომანქანა. ბოლო 4 წლის განმავლობაში რეგისტრირებული მანქანების რაოდენობა ყოველწლიურად 100 ათასზე მეტით იზრდება. ხედავთ? ეს ცხოვრების დონის ერთგვარი ინდიკატორია, ყველა ჩივის, რომ თბილისში მანქანები აღარ ეტევა, სულ საცობებია. კი, ბატონო, ასეა, მაგრამ როგორ გგონიათ, მარტო თბილისში აღარ ეტევა? ნახეთ ნებისმიერი რაიონის ცენტრალური ადგილები, ხეირიანად მანქანას ვერ გააჩერებთ. გამოდის, ხალხმა მოიკეთა, ხალხმა ფული იშოვა და თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრ ოჯახში უკვე 3-4 მანქანაა. სხვათა შორის, ცხოვრების დონის გასაზომად კიდევ ერთი ინდიკატორი არსებობს - რესტორნები, სადაც დღის მეორე ნახევარში ყველა ადგილი დაკავებულია. თუ რამდენიმე კაციანი სუფრის გაშლას აპირებთ, ერთი კვირით ადრე უნდა შეუკვეთოთ. მე პირადად ვიცი ოჯახები, სახლში საჭმელებს აღარ აკეთებენ, ყოველდღე რესტორნებში დადიან. შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ დღეს საქართველოში აღარავის უჭირს, მაგრამ საავადმყოფოში მოხვედრილი ადამიანის ოჯახს რომ სახლ-კარის გაყიდვა აღარ უწევს და ტრანსპორტი სანატრელი აღარ აქვს, ესეც ცხადია. ჩვენში, ძირითადად, პენსიონერების პრობლემაა, პენსია კიდევ უნდა გაიზარდოს. უმუშევრობის პრობლემა კი, როგორც ასეთი, ჩემი აზრით, აღარ არსებობს - მაგალითად, რეგიონებში კარგი მუშა, კარგი ხელოსანი, კარგი კალატოზი სანთლით საძებარია. ვინც მომსახურების სფეროში მუშაობს, ყველას რიგები უდგას, ყველაზე მაგარ ხეირში პროფილაქტიკებში დასაქმებულები არიან. აი, მაგალითად, მე სიღნაღის რაიონში მაქვს სოფელი, კარგი შემდუღებელი მჭირდება, ვნახე, მოველაპარაკე, მაგრამ ერთი თვე უნდა ველოდო, რიგში ჩამაყენა. და ეს ხდება იცით, რატომ? ახალგაზრდები აღარ სწავლობენ ამ ხელობას და არა მხოლოდ ამ ხელობას - მლესავს ვეღარ იპოვით, მშენებელს ვეღარ იპოვით, თუ ვინმეა, ისევ ასაკოვანი, ისევ ძველი, ახალგაზრდები მთელი დღე ბირჟაზე ყრიან დაყვლეპილი თვალებით და აშკარად ჩანს, რომ „აქ„ არ არიან. ნებისმიერი რომ გააჩეროთ და ჰკითხოთ, სად ისურვებდა მუშაობას, უმეტესობა პრემიერ-მინისტრის თანამდებობას დაგისახელებთ. კახეთში ერთი მუშა დღეში 70-80 ლარი გახდა და ისიც საძებარია, აქაც რიგში უნდა ჩადგე და ეს იმ დროს, როცა ბირჟები სავსეა პრეტენზიული უსაქმურებით. იცით, ასეთებისთვის დილა რა შეკითხვით იწყება? აბა, ბიძინამ რა გააკეთა? იმას კი არ კითხულობენ, თვითონ რა გააკეთეს, ბიძინამ რა გააკეთაო? ჰო, კიდე, ბიძინა თითო სოფელს 5 მილიონს რომ ჰპირდებოდა, სად არიო? შე მუდრეგო, გზა გაგიკეთა, წყალი გაგიყვანა, ლამპიონები გაგიკეთა, ათასი რამე გაგიკეთა, 5 კი არა, 10 მილიონი დაგახარჯა და მაინც ვერ ხედავ? ვერა, ვერ ხედავ. ამისი არც უნარი გაქვს, არც სურვილი და არც ხალისი. ასე რომ, პრობლემა ჩვენს მოსახლეობაშიც არის და ეს ხარვეზი უნდა გამოვასწოროთ. ამ თემაზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, თუნდაც იმაზე, რომ დღეს ყველა უმაღლესში აბარებს და ტექნიკუმები აღარავის უნდა, აღარც არსებობს. ხელობა უნდა ისწავლოს ბევრმა, ამდენი „ტუფტა“ უმაღლესდამთავრებული არავის სჭირდება. ასეა ეს, დანარჩენზე დროთა განმავლობაში მოგახსენებთ.

ბრიყვები!

25 მარტს, სამშაბათს გაიმართა პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მე-4 სხდომა თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით. წინა დღეს ცნობილი გახდა, რომ სხდომაზე დაიბარეს ხანდაზმული

თაღლითები (არაფერს ვიგონებ, ეგ სასამართლომ დაადგინა) მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე კომპანია „მაგნატის“ საქმესთან დაკავშირებით. ამ საქმის შინაარსი ისეთივე ტრაგიკულია, როგორიც ყველა დანაშაული, რაც მიხეილ სააკაშვილის ხროვამ ცხრა წლის განმავლობაში ჩაიდინა. ერთმა მშრომელმა კაცმა, ჯემალ ლეონიძემ 1990-იან წლებში დაიწყო „კანისტრებით“ ბენზინის გაყიდვა. როგორც თვითონ ჰყვება, ვლადიკავკაზიდან შემოჰქონდა ნაცნობ-მეგობრების დახმარებით და შემდგომში ნელ-ნელა ბიზნესიც განავითარა - საბოლოო ჯამში, საქართველოს მასშტაბით 52 ბენზინგასამართი სადგური გააკეთა,

ამას რამდენიმე რესტორანიც მიუმატა და მეფრინველეობის ფაბრიკაც ააშენა. დადგა დრო, ჯემალ ლეონიძე საკუთარი ნაშრომით დამტკბარიყო, მაგრამ ხელისუფლება შეიცვალა - იქ, ზემოთ ავანტიურისტი „ყუფარაძეები“ მოვიდნენ და მისი ბიზნესის საქმეც თავქვე წავიდა.

როგორ გითხრათ... ლეონიძის გარშემო მოვლენები სააკაშვილის ხროვის „სტანდარტით“ განვითარდა: ვიღაცას, ამ შემთხვევაში ყაჩაღ დავით კეზერაშვილს, რომელიც ჯერ ფინანსური პოლიციის შეფი იყო, შემდეგ კი თავდაცვის მინისტრი (ან ერთგან რა უნდოდა, ან მეორეგან?), გაუჩნდა სურვილი, კონკურენტი გაეჩერებინა... უფრო სწორად, თავის სამსახურში ჩაეყენებინა და მავანთა პირით შეუთვალა, ან ჩემ „ბენზინებს“ გაყიდი, ან საერთოდ წახვალ ამ სფეროდანო. არ გაყიდა ლეონიძემ კეზერას „ბენზინები“ და წაიყვანეს კიდეც ნავთობის სფეროდან. ჰმ... წაიყვანეს რბილად ნათქვამია, დილეგში გამოამწყვდიეს, 10 წელიწადი მიუსაჯეს და, რომ არა „ქართული ოცნება“, იქიდან ცოცხალი ვერ გამოვიდოდა. ხროვის ხელწერა იგივენაირი იყო, როგორიც სხვა საქმეებში, კეზერაშვილმა ლეონიძის გასანადგურებლად „თიბისი ბანკი“ გამოიყენა, მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს წილები აყიდვინა, ვითომ მილიონობით ინვესტიცია ჩაადებინა და კაი მაგარი აფიორა დაატრიალებინა.

დასაწყისში გითხარით, ხაზარაძე და ჯაფარიძე კომისიის სხდომაზე დაიბარეს-მეთქი. ხანდაზმული თაღლითები კუთხეში მიიმწყვდიეს, სხდომაზე მივიდოდნენ - გაბითურდებოდნენ, არ მივიდოდნენ - მაინც გაბითურდებოდნენ. ხაზარაძემ სხდომის მიმდინარეობისას „ფეისბუქში“ დაწერა - მაგ ცირკში მონაწილეობას არ მივიღებ, მისვლას არ ვაპირებ, ჯერ ბიძინა დაიბარეთო. ხედავთ, რა დონეზეა გათავხედებული? თეა წულუკიანმაც არ დაუხვალია, კენჭი უყარა და მისი საქმე პროკურატურას გადაუგზავნა. მოგეხსენებათ, არგამოცხადება სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირდება და 349-ე მუხლის თანახმად, პატიმრობასაც კი ითვალისწინებს.

თეა წულუკიანს იმედი ჰქონდა, რომ ბადრი ჯაფარიძე მაინც გადააბიჯებდა საკუთარ სიბრიყვეს და მივიდოდა. სამწუხაროდ, ვერ გადააბიჯა ბადრი ჯაფარიძემ თავის სიბრიყვეს, თავის ბრიყვ ძმაკაცს მიბაძა და არც ის მივიდა კომისიის სხდომაზე. არადა, ორივეს შეეძლო, მისულიყვნენ და ოდნავ მაინც „გაეპრავებინათ“ თავიანთი დანაშაულობანი, მაგრამ არა, მათში, როგორც ყოველთვის, კვლავაც სიბრიყვემ გაიმარჯვა!

მავნებელი!

სალომე ზურაბიშვილი განაგრძობს მავნებლობას! ამ ქალს ჯიში აქვს ეგეთი - შინ არ ვარგა და გარე დადის, ქვეყანას მტრობს, არ ასვენებს. ძალა და უფლება არ გააჩნია, თორემ უარესს იზამდა, სამშობლოს თავზე ჩამოგვანგრევდა.

წინა კვირის სამშაბათს ლიეტუვაში ჩავიდა, იქ ტაშით შეხვდნენ, სეიმში სიტყვითაც გამოიყვანეს. იმავე დღეს ზურაბიშვილმა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ ლიეტუვის პრეზიდენტ გიტანას ნაუსედასთან საქართველოში ახალი არჩევნების მნიშვნელობა განვიხილეო.

გაიგონეთ?

საქართველოს ერთმა რიგითმა მოქალაქემ ლიეტუვის პრეზიდენტთან საქართველოში ახალი არჩევნების ჩატარების საკითხი განიხილა. კარგი, დავუშვათ, ეს ქალი ჭკუაზე აღარ არი (არც ადრე იყო), ისევ პრეზიდენტობა უნდა და ყველანაირად ცდილობს, გულის წადილი აისრულოს, მაგრამ რა სჭირს ლიეტუვის პრეზიდენტს? რატომ იგდებენ თავებს ლიეტუვის სეიმის წევრები სასაცილო მდგომარეობაში, როცა ბოგანოდ ქცეულ წარმონაქმნს უსმენენ და თან ტაშსაც უკრავენ? რა რჯით ევროპარლამენტარებს, რომ ამის ბოდვას უსმენენ და თან თავებს აქიცინებენ? მეტი საქმე არ აქვთ?

რა ქნან, ზემოდან „დიფსთეითის“ „უმფროსი“ მისტერ „ყუფარსონი“ რომ დარეკავს და ბრძანებს, მაგ ვადაგასულს მოუსმინეთ, ტაშიც დაუკარით და კვერიცო, არ შეასრულონ? ჰმ... არ შეასრულებენ და კაი ჩიტსაც დაიჭერენ, ხვალ იქ აღარ იქნებიან, სადაც ამჟამად არიან.

სხვათა შორის, სალომე ზურაბიშვილმა და გიტანას ნაუსედამ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების საკითხიც განიხილეს, ისინი შეთანხმდნენ, რომ სტაბილურობა უნდა გააძლიერონ.

დიახ!

სალომე ზურაბიშვილი და გიტანას ნაუსედა მზად არიან, გააძლიერონ სტაბილურობა არა მხოლოდ შავი ზღვის რეგიონში, კონკრეტულად, სამხრეთ კავკასიაშიც.

რა თქვა ზურაბიშვილმა სეიმში?

არაფერი კარგი, მე აქ მხოლოდ მადლიერების გამოსახატად არ მოვსულვარ, მოვედი, რომ მოქმედებისკენ მოგიწოდოთო, ლიეტუვა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ევროინტეგრაციის მხარდაჭერის წინა ხაზზე იყო ყოველთვისო, ჩვენ ერთად ვიყავით დამოუკიდებლობის პერიოდში, მახსოვს, 1991 წელს თქვენ გქონდათ რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებო.

ცრუობს ეს დედაკაცი, კიდევ კარგი, ჯერ ისევ ცოცხლები ვართ იმ დროის მომსწრეები, თორემ უმწიფარ ბალღებს მართლა დააჯერებდა. ჯერ ერთი, ლიეტუვა, მაშინდელი ლიტვა არავითარი მხარდაჭერის წინა ხაზზე არ იყო, როცა საქართველოს გაუჭირდა, არც ერთი რესპუბლიკა არ დამდგარა ჩვენ გვერდით და მით უფრო, ზვიად გამსახურდიას დამხობაში დიდი წვლილი მიუძღვით ცოლ ზურაბიშვილსა და ქმარ ჯანრი კაშიას, ისინი უცხოურ პრესაში მუდმივად აქვეყნებდნენ ბინძურ წერილებს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ. ვინ ლაპარაკობს საქართველოს დამოუკიდებლობაზე? ვინ მიედ-მოედება გამსახურდიას მმართველობის პერიოდზე?

ნახეთ, ეს ქალი არ ჩერდება - სულ რამდენიმე დღეში, თბილისის ქუჩებში ვაპირებთ, აღვნიშნოთ ჩვენი დამოუკიდებლობის რეფერენდუმის დღე, რომელიც 1991 წლის 31 მარტს ჩატარდაო. გადის ცოტა დრო, სულ რაღაც 6 თვეში საქართველოს დედაქალაქში იწყება არეულობა და დეკემბერში რაც მოხდა, ამას აღარ მოვყვები, ყველამ კარგად იცით. მხოლოდ იმას დავძენ, რომ სალომე ზურაბიშვილი მიესალმა ჯაბა იოსელიანის, თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანისა და ე. წ. ინტელიგენციის ნაწილის ნამოქმედარს, მისი თქმით, საქართველოში პროვინციულ ფაშიზმზე გაიმარჯვეს დემოკრატიულმა ძალებმა.

ჰო, კიდევ ისაო... არალეგიტიმური ხელისუფლება ქვეყანას ღუპავს, რუსეთს აბარებს, სასწრაფოდ მიხედეთ, თორემ დავიღუპეთო. დიახ, ახლა ლიეტუველებმა, ესტონელებმა და ლატვიელებმა უნდა მოგვხედონ. მხოლოდ ჩვენ კი არა, შავი ზღვის მთელ რეგიონს უნდა მიხედონ და სხვათა შორის, განსაკუთრებით - სამხრეთ კავკასიას.

სასაცილოა, ხომ?

ჰმ... ბევრი რამეა სასაცილო, ჰორაციო, ამ დუნიაზე, მაგრამ რა ვუყოთ? არაფერი, უნდა ვიომოთ!

და ბოლოს... თავიდან გამოაცხადეს, სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციის ლიდერებთან ერთად ივლის საზღვარგარეთო, თუმცა აღმოჩნდა, რომ ისევ მარტო დაწანწალებს, ბალტიისპირეთში არავინ გაჰყვა. ისე, რომ გაჰყოლოდნენ, საკუთარი თვალით ნახავდნენ, როგორა ჰკროცამს სალომე ბაბო არაყს.

თაში გადაისროლა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, ხოლო დიმიტრი სანაკოევს პრეზიდენტი უწოდა. ახლა ეს ადმინისტრაცია თბილისში „რულამს“, არავინ იცის, რას აკეთებს. სხვათა შორის, არც თეა წულუკიანს და კომისიის არც სხვა წევრებს არ გახსენებიათ ამ ორი „სტრუქტურის“ სვე-ბედი. მე იმდროინდელ პრესაში არაერთხელ გამოვაქვეყნე პუბლიკაცია იმის თაობაზე, რომ ეს იყო დიდი ფულის გათეთრების „ცეხები“ და ე. წ. ადმინისტრაციებს არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ქვეყნის გამთლიანების მცდელობასთან.

და მაინც... ვინ გასცა კოდორის ხეობის უბრძოლველად ჩაბარების ბრძანება? გამოკითხულთა ერთი ნაწილის თქმით, ვანო მერაბიშვილმა, შინაგან საქმეთა იმჟამინდელმა მინისტრმა. როგორ ახსნეს შემდგომში მიზეზი? თურმე შესაძლებელი ყოფილა, ზუგდიდში მოღალატე მოადგილეები აღმოაჩნდნენ და ომის შემდეგ ეგრევე მოსკოვში გაიპარნენ. რა თქვა თამაზ ბესტაევმა? რა და... 2008 წლის ომის დროს ევაკუაციის გეგმა არ არსებობდა, ამათ ხალხიც გაწირეს და ადმინისტრაციის წევრებიცო. ეს არ არის ახალი ამბავი, ეს ვიცით. თუმცა ბესტაევის ნაამბობიდან ერთი დედალიც ირკვევა, მისი თქმით, 7 აგვისტოს დიმიტრი სანაკოევი ადგილზე არ იმყოფებოდა, არ ვიცი, სად „დაითესაო“. აი, ამაშია საქმე, მთელი იმჟამინდელი ადმინისტრაციაა დასაკითხი. სხვათა შორის, მე მივმართე კომისიის ერთ-ერთ წევრს, აუცილებლად დაეკითხათ სანაკოევის ადმინისტრაციის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი მაია ჩუგოევა-ცაბოშვილი, რომელიც თავის დროზე ჩემთან ინტერვიუებში „სასწაულებს“ ჰყვებოდა იმის თაობაზე, თუ როგორ თეთრდებო-

ავანტიურისტთა ღაღადი

ანუ 2008 წელს „მოგებული“ ომი და კრემლის თავზე „აფრიალებული“ ქართული დროშა!

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია 2004 წელს ომად შერაცხული პროვოკაციისა და 2008 წლის ომის გამოძიებას შეუდგა. პირველი ომი ირაკლი ოქრუაშვილის „მხედართმთავრულ“ ნიჭიერებას უკავშირდება, მეორე - მიხეილ სააკაშვილის დიდ მთავარსარდლურ გაქანებას. ეს უკანასკნელი ისე გაქანდა, რომ გორში ცხვირით მიწა გადახნა, მანამდე კი საკუთარი ჰალსტუხი მიირთვა საწებელის გარეშე.

მოდით, მივყვეთ დაკითხულთა ჩვენებებს და ეტაპობრივად გავაანალიზოთ, ანუ უკეთესად გავერკვეთ, რა იყო, რა მოხდა, რა დაგვემართა და რატომ დაგვემართა?

ისე, თავიდანვე უნდა გითხრათ, რომ კი არის რაღაც საინტერესო დეტალები დაკითხულთა მონათხრობებში, მაგრამ ჩვენთვის, იმ დროის მომსწრეებისთვის ახალი ფაქტობრივად არაფერია. მე პირადად იმ დროს ერთ-ერთ წამყვან გაზეთში ვმუშაობდი და გარკვეულ წრეებში ომი მქონდა გაჩაღებული - ყოვლისმცოდნე ტიპები მიმტკიცებდნენ, რომ სააკაშვილს რუსებთან ყველაფერი „გაიასნებული“ ჰქონდა (ვგულისხმობ 2008 წლის ომს) ჩვენ შევიდოდით და პუტინს რეაქცია არ ექნებოდა. იმასაც მეუბნებოდნენ, რომ სააკაშვილს ამ საქმეში დიდი ფული ჰქონდა გადახდილი. მე მაინც ჩემს აზრზე ვრჩებოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ რუსები ამაზე თვალს არ დახუჭავდნენ, წაგების პრეცედენტს არ დაუშვებდნენ, რადგან შემდეგ ამის შემყურე ჩრდილოეთ კავკასიელები აჯანყდებოდნენ, სულ ვიმეორებდი, პუტინი სამაგალითოდ დაგვსჯის-მეთქი. ორი კვირით ადრე, ივლისის ბოლო დღეებში ჩვენ უკვე დანამდვილებით ვიცოდით, რომ ცხინვალისა და კოდორის ხეობის (რატომღაც ზემო აფხაზეთი რომ დაარქვეს) მიმართულებით საომარი მოქმედებები დაიწყებოდა. იმ გაზეთის 4 აგვისტოს ნომერი შავ-თეთრი გამოვიდა, პირველ გვერდზე მსხვილი შრიფტით წერია: „მიშა, ომი არ დაიწყო“! 3 აგვისტოს დავურეკე „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე ლიდერს, მათ ღიად მივმართე - რას შვრებით, იწყებთ-მეთქი? კიო, ვიწყებთო, ჩვენი ჯარი ისეთ დონეზე გაწვრთნეს ამერიკელებმა, შეგვიძლია კრემლის თავზე საქართველოს დროშა ავაფრიალოთო. იმედია, ხუმრობთ-მეთქი. სულაც არ ვხუმრობთ, რუსებმა თავიანთი ჟანგიანი ტანკებით რა უნდა დაგვაკლონო?

კომისიის სხდომაზე პირველი დაიკითხა პაატა დავითაია, ომის შემდგომ პარლამენტში შექმნილი საგამოძიებო თუ შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე. ახალი ისეთი არაფერი. თუმცა მისი ნაამბობიდან ის მაინც გაირკვა, ვინ „კურირებდა“ ომის დღეებში (სამ დღეში) კოდორის ხეობას, ანუ ზემო აფხაზეთს, ვინ გასცა ბრძანება, ტყვიის გავარდნის გარეშე ჩაებარებინათ იქ აზიდული ქონება, შეიარაღება და ტექნიკა. ქონება შემთხვევით არ ვახსენე, არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, იმ პერიოდში მიხეილ სააკაშვილმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო თბილისიდან კოდორის ხეობაში გადაიყვანა და იქ დიდი კომფორტი მოუწყო. ასევე მოიქცა სააკაშვილი ცხინვალის შემთხვევაში - სოფელ ქურთაში გადაისროლა...

შემოსულ რუსულ ჯარს კოდორის ხეობა ალყაში მოექცია და ქართველები გაენადგურებინა. აი, ესეც ერთი ნათელი მაგალითი იმისა, რომ მაშინ სააკაშვილის ხროვა ბრიყვულად მოქმედებდა - დაიწყეს ომი ისე, რომ არ გათვალეს არც ერთი შესაძლო ვარიანტი. ხომ იძახდნენ, კრემლის თავზე ქართული დროშა უნდა ავაფრიალოთო? ამ დროს ერთი ხეობაც ვერ დაიცვეს. აღარაფერს ვამბობ 170 ჩაბარებულ სოფელზე, რომელიც სააკაშვილმა ქვების გროვად მონათლა და მოგვიწოდა, დაიკიდეთო. როგორც თეა წულუკიანმა თქვა, დაიკითხება დიმიტრი სანაკოევიც, ეს აუცილებელია. კი დაიკითხა ადმინისტრაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელი თამაზ ბესტაევი, რომელიც იმ პერიოდში ამავე ადმინისტრაციის ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამსახურს თუ სამინისტროს ედგა სათავეში, მაგრამ მთავარი ფიგურანტი მაინც სანაკოევია, რომელსაც

და შავი ფული და რა მაქინაციებს ატარებდა სააკაშვილის ხროვა „ჩერეზ“ ქურთა. თუმცა პასუხი იყო, რომ, სამწუხაროდ, ვეღარ ასწრებენ, 5 მაისს ანგარიში უნდა დაიდოს, არადა, 4000 განცხადებაა შემოსულიო. რაკი ასეა, რას ვიზამთ, მაგრამ დღის წესრიგში დგება მეორე საკითხი - ამ კომისიას უნდა გაუგრძელდეს ვადა. ჩვენ ხომ გვინდა, რომ ამომწურავი და სამართლიანი შედეგი დაიდოს? მაშინ საჭიროა ვადის გაგრძელებაც.

შედარებით სკანდალური აღმოჩნდა შიდა ქართლის იმჟამინდელი გუბერნატორის, მიხეილ ქარელის სატელეფონო დაკითხვა, რომელიც საფრანგეთის რომელიღაც კლინიკაში მკურნალობს. თვითონვე აღნიშნა, იმ პერიოდში რომ დამაპატიმრეს და მაწამეს, ჯანმრთელობა შემერყა და ახლა დროდადრო მკურნალობა მჭირდებაო.

რა თქვა მიხეილ ქარელმა საინტერესო? მიხეილ სააკაშვილმა პირდაპირ მითხრა, რომ ერგნეთის ბაზრობა უნდა დაიხუროსო... მიხეილ სააკაშვილი ბოლო დროს იმდენად შევიდა ხიბლში, ნებისმიერი განსხვავებული აზრის მოსმენა აღარ შეეძლო, ყველაფერი აღიზიანებდა და მდგომარეობიდან გამოდიოდა, ის არა მხოლოდ მაშინ იყო საშიში, ახლაც საშიშიაო... ის, რაც 2008 წელს მოხდა, შესაძლებელი იყო, მომხდარიყო 2004 წელსო, რომ არა პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, ასეც იქნებოდაო. დიახ, არ ტყუის ქარელი, სრულ სიმართლეს ღაღადებს, 2004-ში ირაკლი ოქრუაშვილმა გამოაცხადა, ახალ წელს ცხინვალში უნდა შევხვდეთო და დააპირა კიდევაც იქ შევარდნა, მაგრამ არ გამოუვიდა, გამოაბუნძულეს. იმ შემთხვევაში ქართული

4 გვ. →

ავანტიურისტთა ღალატი

← 3 გვ.

ჯარის ერთი ნაწილი დაზარალდა, თორემ ოქრუაშვილი გამოსაბუნძულებელი იყო.

კიდევ რა თქვა მიხეილ ქარელმა? როდესაც მიხეილ სააკაშვილი პირველად ვნახე, აფექტურ მდგომარეობაში იყო და მივხვდი, რომ დიდ უბედურებას მოუტანდა როგორც ქვეყანას, ისე ჩემს ოჯახსო... მერაბიშვილი, სააკაშვილი, ოქრუაშვილი და ადეიშვილი - ეს ოთხი ადამიანი იღებდა აბსოლუტურად გაუაზრებელ გადაწყვეტილებებსო.

ეს ოთხი დეგენერატი არა მხოლოდ ომის დღეებში იღებდა გაუაზრებელ გადაწყვეტილებებს, მთელი მათი „მოღვაწეობა“ სავსეა იდიოტური გადაწყვეტილებებით. ამის საუკეთესო მაგალითად გრიგოლ ვაშაძის პასუხიც გამოდგება იმაზე, თუ რატომ არ გამოიყვანეს კონფლიქტის ზონიდან მოსახლეობა მაშინ, როცა სეპარატისტებმა თითქმის მთლიანად დაცალეს

ცხინვალი. გრიგოლმა - ჩვენც რომ გამოგვეყვანა მოსახლეობა, ყველა იფიქრებდა, რომ ჩვენც ომს ვაპირებდითო. გაიგონეთ? ომს იწყებდნენ ისე, რომ არავის უნდა ეფიქრა, ომს იწყებენო. რა არის ახლა ეს, თუ არა ავანტიურა და სამშობლოს ღალატი? მე დასაწყისში მოგახსენეთ, ესენი ომს რომ იწყებდნენ, *ჩვენ 3 ორი (აქ ვერ გავიგე, 3-იც უნდა და 2-იც???)კვირით* ადრე ვიცოდით-მეთქი, აგერ ერთ-ერთი დაკითხული, სამხედრო ექიმი, იმ დროისთვის სამხედრო ჰოსპიტალის ხელმძღვანელი ლაშა ქოიავა ამტკიცებს, ჩვენ ჯერ კიდევ მაისში ვიცოდით, საბრძოლო მოქმედებები რომ უნდა დაწყებულიყოო. გრიგოლ ვაშაძეს ისიც ჰკითხეს, კაცი საგარეო საქმეთა მინისტრი იყავით და ჯიბეში რუსული პასპორტი გედოთ, რუსეთის მოქალაქე იყავით, ეს უხერხულობას არ გიქმნიდათო? არაო, თავიდან გვეგონა, ეს პასპორტი და ჩემი მოქალაქეობა იმუშავებდა, მაგრამ არ იმუშავა და მოქალაქეობა დავტოვეო. ხალხო, იქნებ მე არ მესმის ამათი „ფილოსოფია“? ამიხსენით, რა კუთხით, რა მიმართულებით უნდა ემუშავა ბატონ „გრიგოლეტოს“ პასპორტსა და მოქალაქეობას? პუტინი ჩაფიქრდებოდა და იტყოდა, მოდით, სააკაშვილს ვაპატიოთ, მაგას საგარეო საქმეთა მინისტრად რუსეთის მოქალაქე უზისო? საქართველოს აღარ დაბომბავდა? ბომბდამშენებიდან ფოჩიან კანფეტებს ჩამოგვიყრიდა? გეუბნებით, ვიმეორებ, ეს იყო დიდი ავანტიურა და სამშობლოს ღალატი!

ეს დადასტურდა გაერთიანებული შტაბის ყოფილი ხელმძღვანელის, გენერალ ზაზა გოგავას დაკითხვის დროსაც - როდესაც მას ჰკითხეს, კოდორის ხეობიდან გამოსვლის ბრძანება ვინ გასცაო, ეგრევე მიახალა კომისიის წევრებს, მე გავეციო. რატომ ხალხი არ გააფრთხილეთ, რატომ მოსახლეობა არ გამოიყვანეთ კონფლიქტის ზონებიდანო? ვერ შევძელიო, ვერ გავაკეთეო. მაპატიეთო, არ უთქვამს, აეგრე, ვერ შევძელი და მორჩაო. თან დასძინა, ჩემს ბრძანებას საფლავები მოჰყვაო. აეგრე, მოჰყვა და მორჩა, სხვანაირად ვერ შევძელიო. კარგია, ხომ? მის ბრძანებებს საფლავებიც მოჰყვა და დანგრეული სოფლებიც, მერე რა? ახლა ზის ზაზა გოგავა და გენერლის მუნდირს იცავს, თან ნანობს, ჩემი ერთადერთი მინუსი ის არის, „ნაცებთან“ ახლოს რომ ვიყავიო. პრინციპში, არის ერთი პლუსი ზაზა გოგავას მონათხრობში (თუ ამას პლუსი ჰქვია), ის საკუთარ თავზე იღებს სააკაშვილის ცოდვებსაც, მერაბიშვილის ცოდვებსაც და სხვა კრეტინების ცოდვებსაც, თითს არ იშვერს არავისკენ. თუმცა, ყველამ კარგად ვიცით, რომ მას არავინ არაფერს ეკითხებოდა. თეა წულუკიანმა - ბატონო ზაზა, იმ რეზოლუციის ავტორებთან, რომელიც ევროსაბჭომ მიიღო (1633-ე რეზოლუციას გულისხმობდა, სადაც წერია, რომ ცხინვალი დაიბომბა არაპროპორციულად და რუსეთმა საპასუხო შეტევა წამოიწყოო), აქამდე როგორ იყავითო? გოგავა განერვიულდა, ეგ რა შუაშიაო? ჰმ... შუაში კი არა, თავშია, თავში! როცა მოღალატეებთან ზიხარ, მოღალატე თუ არა, მათი თანამზრახველი მაინც გამოდიხარ. სხვათა შორის, ბატონმა ზაზა გოგავამ დაკითხვის მეორე ნახევარში ტონს საკმაოზე მაღლა აუწია და თეა წულუკიანმა ამის თაობაზე შენიშვნაც კი მისცა, ოფიცრებსაც ასე ელაპარაკებოდითო? დიახ, ოფიცრებსაც და ყველას, ვინც მე მექვემდებარებოდაო, - არ გაიტეხა გოგავამ. არადა, მე ეს გაწონასწორებული გენერალი მეგონა, თურმე ნერვიული ტიპი ყოფილა. ჰო, არ დაგვავიწყდეს, ამან „ნაცმოძრაობა“ დატოვა - მეო, არ მინდა, დაკითხვაზე რომელიმე პარტიას წარმოვადგენდეო. და ვინ თქვა, რომ „ნაცმოძრაობა“ პარტიაა? ის გახლავთ ტერორისტული ორგანიზაცია.

მამუკა ყურაშვილი - სამშვიდობო შტაბის ყოფილი უფროსი, ცხინვალში იცავდა მშვიდობას. ვნახეთ, როგორც დაიცვა გენერალმა. ამას უთხრა თეა წულუკიანმა და მოსვა თავის ადგილზე, ტონს ნუ უწევო. გუშინ ზაზა გოგავამ ტონს აუწია, ახლა კიდე თქვენ აუწიეთო... მომინდომეს აქ ბიჭურად საუბარიო... ბევრი გავატარე და აღარ გავატარებო. ყოჩაღ, თეა!

მამუკა ყურაშვილმა ძალიან ბევრი სისულელე ილაპარაკა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, გამოჰყავდათ ტელევიზორში და ჰყვებოდა, სად, როგორ, რანაირად და რისთვის. ეს იყო ანგარიშის ჩაბარება მტრისთვის.

თეა წულუკიანის შეფუცხუნების შემდეგ ყურაშვილი დაცხრა, უცებ „გაზრდილობიანდა“. რა თქვა მან საყურადღებო? კაცი ევროპიულ გაგებას აწვება „ნაცმოძრაობასთან“ ერთად და... ჩვენ გვქონდა ზემო და ქვემო „გარადოკიო“... ვიღაცაზე თქვა, ის იყო „სტარში ნაჩალნიკიო“. არა, რამდენიმე დღეა, აღარ აწვება ევროპიულს „ნაცმოძრაობასთან“ ერთად, უკვე შერისხეს, გარიცხეს, წამოვიდა, მაგრამ მანამდე ხომ აწვებოდა?

ყურაშვილმა - არც მე და არც ბატონ გენერალ გოგავას, ერთი ჯილდო არ გვაქვს მიღებული, არის ხალხი, ვინც ეს ჯილდოები მიიღო და ფავორიტები იყვნენ, უგულავასი იქნებოდა თუ სხვა ვინმესიო.

ამაზეა ნათქვამი, დათვს თავში უბრაგუნებდნენ და იძახდა, ბანგი-ბუნგის ხმა საიდან მოდისო? ტიპი, ფაქტობრივად, დიდ ავანტიურაშია ეჭვმიტანილი და იძახის, მე და გოგავას ჯილდო არ მიგვიღიაო. არა, თავის პატიოსნებას ხომ გაუსვა ხაზი, ამავე დროს უგულავა და სხვები „ჩაუშვა“ - ჯილდოებს არიგებდნენო. შემდეგ თემურ იაკობაშვილს გადაუჭირა მათრახი, რომელიც მაშინ სახელმწიფო მინისტრი იყო რეინტეგრაციის საკითხებში - ეგ კონფლიქტის ზონაში ერთხელ იყო ჩასული, მისი განცხადება საკონტროლო კომისიის შესახებ იყო სამარცხვინო, კატასტროფული და დამაზიანებელიო. ყურაშვილი აცხადებს, რომ ცხინვალის რეგიონში საომარი ოპერაცია დაიწყო პირველ აგვისტოს. ადამიანების ევაკუაცია უფრო ადრე რომ მოგეხდინათ, უფრო მეტი ხალხი დაზარალდებოდა თუ უფრო ნაკლები? - დაისვა შეკითხვა. ყურაშვილის პასუხი: დაზარალებული უფრო ნაკლები იქნებოდა.

ხედავთ, ეგეთ გენიოსურ პასუხს მარტო ყურაშვილი თუ მოიფიქრებდა. კიდევ ერთი - როდის გახდა თქვენთვის ცნობილი, რომ ცხინვალმა დაიწყო ევაკუაცია?

ყურაშვილი: 1 აგვისტოს, ტელევიზიიდან გავიგე.

ეს კაცი მაშინაც ტყემალზე იჯდა და ახლაც ტყემალზე ზის, ევაკუაციის შესახებ თითქმის ყველამ ვიცოდით კარგა ხნით ადრე და ამან პირველ აგვისტოს გაიგო ტელევიზიით...

პოლიტიკური გადახვევა

თეა წულუკიანმა ხელახლა გადახნა და გააფარჩაკა „ნაციონალური მოძრაობა“.

გადასახნავ-გასაფარჩაკებლები და საერთოდ ასაკრძალები კი არიან, მაგრამ ეგრე? არ ვიცი, ამას მხოლოდ წულუკიანი თუ მოახერხებდა.

ზაზა გოგავამ ტონს აუწია და გაუტარა, ერთი-ორჯერ „ტო“ იხმარა და ესეც გაუტარა. მამუკა ყურაშვილმაც იგივე ტონით მოინდომა ლაპარაკი, მაგრამ აღარ გაუტარა - ეგრევე მოსვა თავის ადგილზე: შენა, ბიჭო, ხო არაფერი გეშლებაო?!

ყურაშვილი მოჯდა, „მილინკი“ გახდა.

თეამ მოუყომარა - აქ დამდგარხარ და ზაზა გოგავასი არ იყოს, რაღაცებს იბრალებ, სინამდვილეში აგიფარეს და გამოგიყენესო!

ყურაშვილმა ენა გადაყლაპა!

ყველა „ნაცმა“, „გნაცმა“ და„-შმაცმა“ უნდა გადაყლაპოს ენა! ვინც დასასჯელია, უნდა დაისაჯოს, ვისაც ნაკლები დანაშაული მიუძღვის, ყველა უნდა დამუნჯდეს და დაიმალოს!

ნაკლებ დანაშაულში ვგულისხმობ ამ უჯიშოებისთვის მხარდაჭერას, რიგითი „ნაციც“ კი არის დამნაშავე!

●

ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ფინანსთა ყოფილი მინისტრისა და შემდგომში პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ნოღაიდელის დაკითხვა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის, რაც 2008-ში მოხდა, შეიძლებოდა მომხდარიყო 2004-შიო, მე ვეჩხუბე სააკაშვილს და გავაჩერეო. იგივე შეიძლებოდა მომხდარიყო 2006-შიცო. გამოდის, მთელი საქართველო,

2004 წლიდან მოყოლებული, დენთის კასრზე იჯდა. ნოღაიდელმა არც ოქრუაშვილი დაინდო, 2004-ში ცუდი განცხადება გააკეთაო, უსარგებლოო. ეს ის განცხადებაა, ოქრუაშვილი ახალ წელს ცხინვალში რომ უნდა შეხვედროდა და თავის სოფელს ვერ გასცდა. აქ ერთი მომენტი უნდა დავიჭიროთ, თეა წულუკიანმა ჰკითხა ნოღაიდელს, ეს ავანტიურა სააკაშვილის სიგიჟე იყო თუ რასთან გვქონდა საქმეო? ნოღაიდელმა უპასუხა - ეს რომ სიგიჟე იყო, ამას კომენტარი არ სჭირდებაო. ეს შეკითხვა ქალბატონმა თეამ სხვებსაც დაუსვა და მათაც აღიარეს, რომ საქმე გვქონდა სიგიჟესთან. უკაცრავად, მაგრამ ახლა ისე არ გამოვიდეს, სააკაშვილი გიჟად შერაცხონ და ავტომატურად სასჯელი მოეხსნას. თუ საქმე სიგიჟესთან გვქონდა, გამოდის, სააკაშვილი გიჟი ყოფილა. არა, პრინციპში, არც უმაგისობაა, მაგრამ ის ნამდვილად არ არის ისეთი გიჟი, ციხიდან გამოუშვან და უცხოეთში გაქუსლოს.

ირაკლი ბათიაშვილმა, რომელიც შევარდნაძის ზეობის ხანაში საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარე იყო, ის პერიოდი გაიხსენა, როცა სააკაშვილმა და მერაბიშვილმა ემზარ კვიციანის ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის დააპატიმრეს და ციხის კედლებიც ახეხინეს. მე არ ვიცი, ამ მუხლით საქართველოში კი არა, მსოფლიოში სხვა ვინმე არის დასჯილი? საქმე ეხება იმ დროს, როცა ემზარ კვიციანის შეიარაღებული რაზმი განაიარაღეს და მისი წევრები დააპატიმრეს. კვიციანი მაშინ საქართველოდან გაიქცა, თავს უშველა. ეს რაზმი იცავდა კოდორის ხეობას. როდესაც ავანტიურისტებმა სპეცოპერაცია წამოიწყეს, ბათიაშვილმა კვიციანს ტელეფონით საუბრისას უთხრა - გამაგრდით, ბიჭებოო. ეს იყო დაეს.

ძალზედ საინტერესო იყო გოგა ხაინდრავას და გიორგი ვოლსკის დაკითხვა-გამოკითხვა, ერთი სახელმწიფო მინისტრი გახლდათ კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში, მეორე - მისი მოადგილე. გოგა ხაინდრავას შემთხვევაში უამრავი უცნობი დეტალი გახდა ცნობილი, მაგრამ ერთი მეტად საინტერესოა: თურმე ვლადიმერ პუტინს დსთ-ის ქვეყნების პრეზიდენტები და მათი რამდენიმე ხელქვეითიც დოღზე მიუწვევნია. სააკაშვილს თბილისიდან გოგა და იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი წაუყვანია. პუტინს სააკაშვილი ჩაუსვამს მანქანაში და დაუწყია - აჭარის ამბავი ხომ მაგრად მოგიგვარეთ, ახლა ოსეთისა და აფხაზეთის ამბავსაც მოგიგვარებთ, მაგრამ ცოტა დრო მჭირდება, ჩემს გარშემო ხალხია სხვადასხვა მოსაზრებებით, დაახლოებით ერთი წელიწადიო. შემდეგ ეს ამბავი სააკაშვილს გოგასთვის და გელასთვის მოუყოლია, გელას უკითხავს, მერე შენ რა უპასუხეო? რას ამბობ, ერთი წელიწადი მაგას უნდა ველოდოო? ჩავალთ თუ არა თბილისში, ეგრევე დავიბრუნებ ტერიტორიებსო. მე არ ვიცი, მართლა ელაპარაკა პუტინი სააკაშვილს ასე, მაგრამ ფაქტია, სააკაშვილი ძალიან გაბრიყვებული და თავზე ხელაღებული იყო იმ პერიოდში - როგორც ჩანს, პუტინის დაყვავებამ და ცოტაოდენ გაშინაურებამ მაგრად აუგდო თავში. დაკითხვის შემდეგ გოგა ხაინდრავას ქუჩაში (პარლამენტთან) დახვდა „სიურპრიზი", აკუნტრუშებულმა ე. წ. ახალგაზრდებმა სტვენა და მონა-მონას ძახილი დაუწყეს. გოგამ შეხედა, შეათვალიერა, ყველაზე მეტად ვინც იჭინთებოდა, იმას უთხრა - რას ჰგავხართო? მოტრიალდა და წავიდა. აქ უფრო მეტად აიშვეს ე. წ. ახალგაზრდებმა. გოგამ შუა თითის კომბინაცია აჩვენა, ამათთან სხვანაირად არ გამოდის, ამათთან ლაპარაკიც არ შეიძლება, ამათ თავებში ნაგავი ჩაუდეს და მორჩა, იმის იქით ვეღარ მიდიან, ბუქსაობენ.

რაც შეეხება გიორგი ვოლსკის - მას თავის არქივში აღმოაჩნდა დოკუმენტები, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი, რა და როგორ მოხდა 2004-2008 წლებში. ეს გახლავთ ქრონოლოგიური ტრაგედია ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიისა.

ამ დღეებში კიდევ ერთი მაგარი ბრიყვი გამოიკვეთა - ირაკლი ოქრუაშვილი. ეს ადრეც ბრიყვი იყო, მაგრამ როგორც ჩანს, ასაკმა უფრო გააბრიყვა. მის „მოღვაწეობაში" ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია და მით უფრო, 2004 წლის მოვლენების კუთხით, როცა ოსმა სეპარატისტებმა 50 ქართველი მიწაზე დააჩოქეს და შეურაცხყვეს.

ამჯერად აქ დავასრულოთ, ყველა დეტალი რომ მოვყვეთ და გავაანალიზოთ, ამას ათი გაზეთი არ ეყოფა. რა იქნება შემდეგ დღეებში, ამაზე მომდევნო ნომერში გიამბობთ.

გელა ზედელაშვილი

ჩვენ თვითმარქვია გენერლები გვყავს!

ჩემ თაობაში ყმაწვილებს სამხედრო განათლების მიღება იზიდავდა და ჩინის ყოველი მომატებაც ზეიმის საბაბი იყო.

შემდეგ რა და როგორ არივ-დარიეს, არ ვიცი, მაგრამ ის ხომ ვიცი, პირველი საოფიცრო წოდება „ლეიტენანტი" პირს რა შემთხვევაში ენიჭება.

სამხედრო მოსამსახურეს მორიგი სამხედრო წოდება ენიჭება თანმიმდევრობით, საფეხურის გამოტოვების გარეშე.

სამხედრო მოსამსახურეს მორიგი სამხედრო წოდება, გარდა უმაღლესი ოფიცრისა, ენიჭება შემდეგი პირობების ერთდროულად არსებობის შემთხვევაში:

გავიდა მორიგი სამხედრო წოდების მინიჭებისათვის განსაზღვრული მინიმალური ვადა;

სამხედრო მოსამსახურე აკმაყოფილებს მისანიჭებელი სამხედრო წოდებისათვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სამხედრო მოსამსახურეს უკავია ისეთი სამხედრო თანამდებობა, რომლისთვისაც შტატით გათვალისწინებულია მისანიჭებელი სამხედრო წოდების თანაბარი, ან უფრო მაღალი სამხედრო წოდება.

სამხედრო მოსამსახურეს უმაღლესი ოფიცრის და ვადამდე პოლკოვნიკის სამხედრო წოდებებს ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი;

პოლკოვნიკის სამხედრო წოდებას, ლეიტენანტის სამხედრო წოდებას (საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში ჩარიცხული უმაღლესი განათლების მქონე პირი, თუ იგი აკმაყოფილებს თანამდებობისათვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს), ვადამდე სამხედრო წოდებას (გარდა უმაღლესი ოფიცრის და ვადამდე პოლკოვნიკის) და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მშვიდობის აღდგენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ოპერაციებში, სხვა სახის სამშვიდობო ოპერაციებსა და საერთაშორისო მისიებში წარგზავნილ ოფიცერს მივლინების პერიოდში დროებით სამხედრო წოდება ანიჭებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

სხვა შემთხვევაში, სამხედრო წოდებებს ანიჭებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ან მის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

მორიგი სამხედრო წოდების მისანიჭებლად დადგენილია სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგი მინიმალური ვადები:

❖ რიგითიდან I კლასის რიგითამდე – 1 წელი;

❖ I კლასის რიგითიდან კაპრალამდე, ან კაპრალ-სპეციალისტამდე – 2 წელი;

❖ კაპრალიდან ან კაპრალ-სპეციალისტიდან უმცროს სერჟანტამდე – 2 წელი;

❖ უმცროსი სერჟანტიდან სერჟანტამდე – 2 წელი;

❖ სერჟანტიდან უფროს სერჟანტამდე – 3 წელი;

❖ უფროსი სერჟანტიდან მასტერ სერჟანტამდე – 5 წელი;

❖ მასტერ სერჟანტიდან მთავარ სერჟანტამდე – 5 წელი;

❖ ლეიტენანტიდან უფროს ლეიტენანტამდე – 2 წელი;

❖ უფროსი ლეიტენანტიდან კაპიტნამდე – 3 წელი;

❖ კაპიტნიდან მაიორამდე – 3 წელი;

❖ მაიორიდან ვიცე-პოლკოვნიკამდე – 4 წელი;

❖ ვიცე-პოლკოვნიკიდან პოლკოვნიკამდე – 5 წელი.

უმაღლესი ოფიცრის სამხედრო წოდების მისანიჭებლად ვადა არ დგინდება!

ამ წოდების მინიჭება მოხდება, თუ სამხედრო მოსამსახურეს უკავია ისეთი სამხედრო თანამდებობა, რომლისთვისაც შტატით გათვალისწინებულია მისანიჭებელი სამხედრო წოდების თანაბარი, ან უფრო მაღალი სამხედრო წოდება.

არმიის გენერლის სამხედრო წოდების მინიჭება დაიშვება მხოლოდ ომის დროს განსაკუთრებული საბრძოლო დამსახურებისთვის!

სამხედრო მოსამსახურეს, აგრეთვე რეზერვში მყოფ ან გადამდგარ პირს, სამხედრო წოდება შეიძლება ჩამოართვას მხოლოდ სასამართლომ!

ერთადერთი შეკითხვა მაქვს მათთან, ვისაც ეხება: სასაცილოდ რომ არის საქართველო აგდებული სამხედრო წრეებში იმის გამო, რომ ჯარისკაცზე მეტი ოფიცერი ჰყავს, არ გსმენიათ?

საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან დღემდე „გამოჩეკილ" გენერლებს, რომელ ომში და რა სახის განსაკუთრებული საბრძოლო დამსახურებისთვის აქვთ მიღებული გენერლობა?

დიახ, წლებია, ამ შეკითხვას იმეორებს ხალხი, რადგან კარგად იციან, რომ ჩვენ თვითმარქვია გენერლები გვყავს!

სირცხვილია!

საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სამარცხვინოდ გვიწერია დაუმსახურებლად გაგენერლებულების გვარ-სახელები. აქედან გამომდინარე იყო, რომ გასროლის გარეშე ჩააბარეს კოდორის (დალის) ხეობა და მიამატეს „ქვების გროვა" – ზნაურის, ახალგორისა და ცხინვალის რაიონები...

ვიხსენებ და ვერაფრით ვიხსენებ, ორი შემთხვევის გარდა, ვინმესთვის სამხედრო წოდება ჩამოერთმიათ და მაშინაც, სამხედრო წოდების ჩამორთმევა, როგორც დასჯის ფორმა, თავდაცვის სამინისტროსთვის გახდა არა სამსახურებრივი გულგრილობა, არაპროფესიონალიზმი, ან სამეურნეო ხასიათის დანაშაული, არამედ, სამხედრო უწყების ხელმძღვანელისთვის მიუღებელი პოზიცია.

არ მინდა, გული ვატკინო კონკრეტულ სამხედრო პირებს, რადგან ისინი ჩემთვის ჩინაყრილები არ არიან და ამიტომ მათი ვინაობის დასახელებისგან თავს ვიკავებ, მაგრამ აი, ამ გენერლებს, ამ დღეებში რომ ვუყურებთ დროებითი საგამოძიებო კომიტეტში მოსაუბრეებს, ისევ რომ უტიფრად და უსირცხვილოდ ცრუობენ. ამასთანავე, გენერლისთვის შეუფერებლად მეტყველებენ, თუ აზროვნებენ, ამათ რატომ უნდა ჰქონდეთ გენერლის წოდება?

ძნელია და შრომატევადი საქმეაო არ მითხრას ვინმემ — მე, სამოქალაქო პირი რომ დამსვან და დამავალონ, მე გავცხრილავ იმ ცრუ ოფიცრობასა და გენერალიტეტს, რომლებიც არასდროს ყოფილან ჭეშმარიტი სამხედრო პირები!

რა გასახსენებელია, მაგრამ კუდ-ის საფრთხობელა სოსო თოფურიძისნაირი კიდევ რამდენი იქნება, ჯარში ერთი დღე რომ არ ყოფილა და პოლკოვნიკად არის გადახვეწილი... რა დამავიწყებს, სიკვდილზე მეტად მისი დანახვის რომ ეშინოდათ... ტელემაყურებელს მორიგი საშინელების მოლოდინს გვიჩენდა.

ახალგაზრდებს სამხედრო სამსახური არ უნდათო, — მისაბაძი ვინ ჰყავთ, რომ უნდოდეთ?!

გენერლების რაოდენობა ქვეყნებში ბოლო 30 წელში: ჩინეთი - 40, ამერიკა - 40, რუსეთი - 64, თურქეთი - 27, საქართველო - 89.

სირცხვილია!

მაია ჭელიძე

რუსთაველზე მდგომთათვის უცხო ქვეყნის მსახურება ნორმაა

გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი:

— ქალბატონო მაია, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დაკვნის შედეგად, ხელისუფლება საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელს წარადგენს, რათა „ნაცები“ და მისი მემკვიდრე პარტიები არაკონსტიტუციურად გამოცხადდნენ...

— ნაცების გასამართლებას წლებია, მოუთმენლად ველით. ყველამ ვიცით, რას წარმოადგენდა სააკაშვილის რეჟიმი, რომელიც აქამდეც უნდა აკრძალულიყო, თუმცა, დასავლეთიდან ზეწოლის გამო, ეს ვერ ხერხდებოდა. ახლა უკვე არამხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნების მაგალითზეც ნათლად ვხედავთ, რა ფუნქციის მატარებელია „დიფ სთეითი“, იგივე, ერთიანი ლიბერალურ-გლობალისტური ცენტრი, სადაც მუშავდება იდეოლოგია, თუ როგორ უნდა მართონ სასურველი მიმართულებით ყველა და ყველაფერი. ეს შეთქმულების თეორია კი არა, სრული რეალობაა. სამწუხაროდ, ჩვენ ამ დასავლურ ლიბერალურ-გლობალისტურ დიქტატში ვცხოვრობდით. ეს იყო ერთგვარი ბადე, ქსელი, რომელშიც ყველანი გაბმულნი აღმოვჩნდით. ამ ქსელის ნაწილი მხოლოდ აკერმანის ინსტიტუტი როდია. ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია. სხვადასხვა ინსტიტუტებში ტარდებოდა ტრენინგები, როგორ უნდა იმუშაოს მედიამ, რა ტიპის ინფორმაცია გააჟღეროს და ა. შ. მახსოვს, ქართველ ჟურნალისტებს ამერიკაში ატრენინგებდნენ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საგამოძიებო ჟურნალისტიკა.

ათწლეულების განმავლობაში ამ ბადეში ვიყავით მოქცეული, რასაც ვერც საქართველოს ხელისუფლება გაუწევდა წინააღმდეგობას, ვერც სერბეთის და ვერც უნგრეთის. ჩვენზე საკმაოდ ძლიერი ფინანსური თუ საინფორმაციო ზეწოლები, გადატრიალებების მცდელობები ხორციელდებოდა. პრაქტიკულად, ამ ბადეში 35 წლის წინ მოვექეცით. ყველაფერი აბსოლუტურად მართული იყო. ხომ ხედავთ, სადამდე მივიდა ევროპა და ამერიკა ლგბტქ+ ანტიადამიანის შექმნით. მოდი, ამას „ადამიანი მინუს სქესი“ დავარქვათ. ასეთი რამ ყველაზე საზიზღარ ფანტაზიაშიც კი არ შეიძლებოდა გაჩენილიყო. „ადამიანი მინუს სქესი“, ანუ მოსიარულე პირები, რომლებიც სტერილიზებულნი არ არიან, მაგრამ პრაქტიკულად, არიან კიდეც.

ამას წინ უძღვოდა ბევრი ქალის სტერილიზაცია ინდოეთში, ინდიელებისა ამერიკაში, აფრიკაში პირდაპირ სტერილიზაციის პროგრამები არსებობდა. ლგბტქ+ იდეოლოგია უნივერსალური აღმოჩნდა — ეს მთლიანად სტერილიზაციის პროგრამაა. ამ ხაფანგში უამრავი მოზარდი გაება, რომელთაც, ჩვეულებრივ, გარდატეხის ასაკში როლური დაბნეულობა, სქესთან იდენტიფიკაციის პრობლემა აქვს. აი, სწორედ ამ დროს აბამდნენ ხაფანგში, სანამ იგი კრიზისულ პერიოდებს გადალახავდა. აი, აქ ითრევდა ბავშვს ეს ლგბტქ+ იდეოლოგია. ფაქტობრივად, სტერილიზაცია მენტალურად ხდებოდა. ეს ყველაზე დაუნდობელი, სასტიკი რამაა, — მთელი თაობების ხაფანგში გაბმა და მათი როგორც ფიზიკური, ისე მენტალური სტერილიზაცია.

ბუნებრივია, ხელისუფლება ამას ვერ შეეწინააღმდეგებოდა. ასევე თავსმოხვეული იყო კოაბიტაციაც. ეს გახლდათ დაზღვევა ლიბერალ-გლობალისტური ხელისუფლების უკან მოსაბრუნებლად. დასავლეთმა მიიჩნია, რომ 2012 წელს მოსული ხელისუფლების მმართველობა დროებითი უნდა ყოფილიყო. ანუ, ერი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა ძალიან გადრიკა, „გაპრესა“, დროებით ამოასუნთქეს. მაგრამ „ქართული ოცნების“ მმართველობის გაგრძელება დასავლეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა — ასე ხომ საქართველოს კარგავდნენ.

— ახალგაზრდობაც დაარწმუნეს, რომ ხელისუფლება მათ ევროპისკენ გზას უკეტავს...

— აქამდე, ახალგაზრდების ნაწილი, უბრალოდ, შეცდომაში შეყვანილი და გულანთებული მეგონა, მაგრამ ახლა მათში ბევრ ინტრიგანს და დებილს ვხედავ. ეს ყველაფერი სრულ იდიოტიზმამდე დავიდა. უმეტესობა მიხვდა, რომ მათ გვერდით დგომა არ შეიძლება, ისინი ნორმალურები არ არიან. უნდოდათ, ეს ყოფილიყო ჩვენი საზოგადოების მომავალი, რასაც ახლა რუსთაველის გამზირზე ვხედავთ. აი, რას ავცდით. „ბომჟები“, მაწანწალები გამოილექა, მათი სრული გამარგინალება მოხდა. ამ ფონზე ნაცების აკრძალვა სასწრაფოდ უნდა მოხდეს, რაშიც ხელისუფლებას აბსოლუტურად ვეთანხმები. დიახ, ნაცები უნდა აიკრძალონ ისევე, როგორც ფაშიზმი. კომუნისტებიც კი არ იყვნენ ისეთი მავნებლები, როგორიც მიშა და მისი რეჟიმი — კომუნისტები ადამიანის ფსიქიკას არ ანგრევდნენ. ეს ყოვლად დესტრუქციული ძალაა. თან „ნაცმოძრაობა“ ავთენტური არ არის, ის ლიბერალ-გლობალისტების ბადეში ზის. ანუ, მათი აკრძალვა, რაზეც მდინარაძემ ისაუბრა, მთლიანად ლიბერალურ-გლობალისტური გავლენების აკრძალვას ნიშნავს.

დიახ, „ნაცმოძრაობის“ აკრძალვა უდრის საქართველოში ლიბერალურ-გლობალისტური გავლენების აკრძალვას და ამ ქსელიდან ამოვარდნას, რაც უდიდესი მიღწევა იქნება. ამის შემდეგ უფლება გვექნება, მომავალი თაობის პატრიოტულ აღზრდაზე ვილაპარაკოთ, სიტყვა „სამშობლო“ დავიბრუნოთ და ქართველები აღვზარდოთ. ახლა ვისაც რუსთაველის გამზირზე ვხედავთ, ისინი ქართველებად გაზრდილები არ არიან. ანუ, მათთვის სხვა ქვეყნის მსახურება ნორმაა. სწორედ ეს არის გლობალისტური იდეოლოგია, სხვა არაფერი, რომ შენ მსოფლიოს მოქალაქე ხარ, გინდა, საქართველო ევროპაში იყოს და სურვილი არ გაქვს, შენს ქვეყანას ინდივიდუალობა ჰქონდეს, ეროვნულობა შეინარჩუნოს. ეს გლობალისტური ხედვებია. ამიტომ ნაცების აკრძალვა იქნება ერთი ნაბიჯი წინ, უკან, ანუ საქართველოში დასაბრუნებლად.

თავდაპირველად ძალიან მეშინოდა, ფერადი რევოლუციის მცდელობა სისრულეში არ მოეყვანათ, რადგან ჩვენი სახელმწიფო ამას ველარ გაუძლებდა. საქართველო პირველი პრეცედენტია, სადაც ფერადი რევოლუციის შემოქმედების გამარგინალება მოხდა და მისი არაძალადობრივი გზით დამარცხება მოხერხდა. ეს მსოფლიო ისტორიაში ჩაიწერება. ნაცებისა და მისი მემკვიდრეების აკრძალვა კი, ამ ყველაფრის გვირგვინი იქნება.

— საგამოძიებო კომისია ამჟამად 2008 წლის ომის მოვლენებს იძიებს...

— დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს მოვლენებს. საერთოდ, კერპის შექმნა, ფანატიზმში შესვლა არ მიყვარს, მაგრამ მინდა, უდიდესი პატივისცემა გამოვხატო თეა წულუკიანის მიმართ, აღფრთოვანებული ვარ იმით, თუ როგორც წარმართავს სხდომებს, ყოჩაღ! გენერლები გაშიშვლდნენ, მერე რა, რომ მუნდირები ეცვათ. აბსოლუტურად შიშველი გენერლები ვიხილეთ, რაც ჩემთვის შოკი იყო. გენერლობა ყველაზე დიდი სამხედრო წოდებაა. ამ დროს ყველაზე დიდი ჩინოსნები ყველაზე პატარები აღმოჩნდნენ. ჩემთვის მხოლოდ წარსული როდი გაცოცხლდა. ერთია, რომ მოვლენებს აფასებ და მეორე მხრივ, ხედავ, როგორი მარიონეტები იდგნენ ადამიანების სიცოცხლის სადარაჯოზე. უკაცრავად და, თუ ყველა ასეთი პროფესიული იმპოტენტი, მარიონეტი, უსუსური და შიშველი იყო, ვერ წარმოვიდგენდი. რაც აქ ხდება, წლების შემდეგ უკრაინაში განმეორდება. არაერთი სოფელი დავკარგეთ, რაც ჩვენთვის ქვების გროვა კი არა, სამშობლო იყო. იმედი არსებობს, რომ შევრიგდებით და საერთო ენას გამოვნახავთ. მაგრამ უკრაინა რის იმედზეა?! იქ ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი დაღუპულია. ევროპას კი ისევ ომის გაგრძელება უნდა.

— სალომე ზურაბიშვილმა ბალტიისპირეთში ანტიქართული ტურნე დაასრულა...

— რუსეთში ბალტიისპირელებთან ერთად ვმუშაობდი და მინდა გითხრათ, რომ ისინი ყოველთვის განზე იდგნენ და საკმაოდ ცივი ადამიანები იყვნენ. საბჭოთა ადამიანებს უცხოებად აღიქვამდნენ. ქართველების მიმართ ბალტიისპირელებს სითბო არასდროს გამოუხატავთ. ახლა რა სიყვარული აუტყდათ?! მათთვის ყოველთვის უცხოები ვიყავით და ყველას, როგორც მტრებს, ისე უყურებდნენ. ეს მათ ეთნოფსიქოლოგიაში დევს. ბალტიისპირეთს რომ მეგობრად გაიხდი, რა დონეზე უნდა დაეცე. მაგრამ სხვას რას ველოდებით ამ ფრანგი ღამურასგან?! როგორც ჩანს, უკრაინულმა საინფორმაციო ფსიქოლოგიური ოპერაციების ცენტრმა ბალტიისპირეთში გადაინაცვლა. დიახ, „ციფსო“-ს მთავარი ფილიალი ახლა იქ არის. თავიდან საქართველოში პროცესები უკრაინიდან იმართებოდა. ახლა, დროებით, ბალტიისპირეთში გადავიდა ისევე, როგორც ლენინი რომ წავიდა ფინეთში. ახლა „ლენინელები“ ცოტა ხნით ბალტიისპირეთში წავიდნენ.

გეტყვით, მათ ლენინელებს რატომ ვუწოდებ? მეორე მსოფლიო ომის მერე, ამერიკის პრეზიდენტმა ბირთვული ფიზიკის სპეციალისტები დაიბარა. თათბირზე ერთ-ერთმა ფიზიკოსმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირს უფრო მძლავრი იარაღი აქვს, ვიდრე ნებისმიერი ბირთვული იარაღია.

მეორე ყრილობაზე პირდაპირ ჩამოყალიბდა ტაქტიკა, როგორ ემართათ ყველა და ყველაფერი. ეს საბჭოთა პერიოდის დასაწყისი იყო, რა დროსაც ოჯახი კი არ იყო მთავარი, არამედ არეული სქესობრივი კავშირები — ყველა ყველას ცოლი და ქმარი იყო. ეს სწორედ მაშინ იწყებოდა. მაშინდელ თათბირზე გადაწყდა, ლენინიზმის კვლევის ლაბორატორიები შექმნილიყო. ეს ლაბორატორიები ამერიკის „დიფ ცენტრებში“ დღემდე მუშაობს. სწორედ იქიდან წამოვიდა აკერმანისა და სხვა ინსტიტუტების მეთოდოლოგიების დანერგვა. ფერადი რევოლუციები ლენინიზმიდან მოდის, უბრალოდ, ახლა მეთოდები დაიხვეწა და ადაპტირება ხდება, ძირი ეს არის. საბოლოოდ, ეს ყველაფერი ტროცკის მესამე ინტერნაციონალამდე მივიდა, რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა ლიბერალურ-გლობალისტური იდეოლოგია. ლიბერალ-გლობალისტების ეს ბადე, ფაქტობრივად, მეოთხე ინტერნაციონალია, რომელსაც ახლა ვანგრევთ.

თუ „ნაცმოძრაობისა“ და მისი მემკვიდრეების აკრძალვას მივაღწევთ, ეს სწორედ ახალი, მეოთხე ინტერნაციონალისთვის უზარმაზარი წინააღმდეგობის გაწევა და, პრაქტიკულად, საქართველოს ტერიტორიაზე მათი აკრძალვა იქნება, რაც ორბანმა უნგრეთში გააკეთა. პუტინმა ტრამპის მოსვლამდე ბევრად ადრე თქვა: აქ არის ომი ნორმალურობასა და არანორმალურობას შორისო. ტრამპმა, პირდაპირ ანტილიბერალურ-ანტიგლობალისტური ბრძოლა გამოაცხადა, თან რა სისწრაფით.

5 მაისს საპარლამენტო საგა-

9 გვ. →

სალომე არ გახლავთ ფიგურა, რომელსაც ხალხი გაჰყვება

გვესაუბრება ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი
რამაზ სამვარელიძე:

— ბატონო რამაზ, 31 მარტი საქართველოს უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი დღეა. სწორედ ამ დღეს დაამთხვიეს რადიკალებმა აქცია, ზურაბიშვილმა კი სიტყვით გამოსვლისას წინააღმდეგობის პლატფორმის შექმნა დააანონსა. რა პარალელები შეიძლება გაივლოს დღევანდელსა და 1991 წლის 31 მარტს შორის?

— რთული ამოცანა დამისახეთ. 1991 წელსაც საზოგადოების ნაწილი ქუჩაში იდგა. ზვიად გამსახურდიას უყვარდა ხალხთან ღია კონტაქტი. ამიტომ ზვიადის პრეზიდენტობისას მისი მომხრეების მიტინგები ხშირად იმართებოდა. იგი მოსახლეობასთან მუდმივ დიალოგში იყო. დღევანდელი ვითარება მკვეთრად განსხვავდება — აქ ერთიანობა არ ჩანს. მეტიც, გუშინდელი აქცია შეურაცხმყოფელი იყო. ოპოზიცია ზვიადის დროსაც საპროტესტო რეჟიმში იყო, რამაც სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანა. დღევანდელი ოპოზიციაც იმუქრება, ხელისუფლებას გადავაგდებთო, თუმცა, ასეთ საფრთხეს რეალურად ვერ ვხედავ. მაშინ ორივე მხარეს ერთმანეთთან დაპირისპირებაში, როგორც პოლიტიკურად, ისე იარაღით, ხელს რუსეთი უწყობდა. მადლობა ღმერთს, დღეს რუსეთი ამ მხრივ ქვეყნის საქმეებში არ ერევა. სამაგიეროდ, ახლა საფრთხეები დასავლეთის მხრიდან მომდინარეობს.

დღეს აქტიურად გაისმის ფრაზა: ევროპისკენ უნდა წავიდეთო. რეალურად, როცა იდეალებზე ვსაუბრობთ, ცხადი ხდება, რომ იდეალური მხოლოდ შენი ქვეყანა შეიძლება იყოს. ვინმესკენ (ევროპისკენ) კი არ უნდა წახვიდე, არამედ შენი ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნისკენ. გეოპოლიტიკური ცენტრი კი არ უნდა აირჩიო და სამოთხე იქ ეძებო, არამედ შენი ქვეყანა უნდა აქციო სამოთხედ.

ჩვენ ასეთი პათოსი გამოგვიმუშავდა — საკუთარი ქვეყანა კი არა, სხვა ქვეყანა, სხვა ადგილი გვინდა, თუნდაც, ევროპა. ანუ, ფსიქოლოგიურად მიგრანტობა გვსურს, ფიზიკურ ემიგრაციაზე რომ აღარაფერი ვთქვა. ბორელმა ხომ გვითხრა, ამ ველურ გარემოცვაში ევროპა ოაზისიაო. ჩვენ დავთანხმდით ამ საკმაოდ თავხედურ გამონათქვამს, რომ ევროპა ოაზისია და ჩვენ, ყველა სარეველა ბალახები. რეალობამ დაგვანახვა, რომ სარეველა ბალახი იქაც არის. ამ კუთხით თვალი ტრამპმა აგვიხილა, როცა ლიბერალებს ღიად დაუპირისპირდა.

გვირჩიეს კიდეც: როცა დამარცხდებით, მერე იატაკქვეშა, პარტიზანული ბრძოლა გააჩაღეთო. მათ მარცხისთვის უკვე გაგვწირეს. მსოფლიოს ყველა ქვეყანას თავისი ინტერესი აქვს. რატომ უხარიათ თავიანთ ქვეყნებში მიგრანტების ჩასვლა? — შრომის ანაზღაურებაში ნაკლებს უხდიან. ანალოგიურად, საქართველო როგორც ქვეყანა, თუკი სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში მიგრანტის როლში იქნება, მას ნაკლებს „გადაუხდიან“. მეტიც, ისევე გასწირავენ, როგორც მიგრანტებს წირავენ. მიგრანტის მიმართ ქვეყნების დამოკიდებულება ვიცით, როგორია. ეს საქართველოზე რომ გადმოვიტანოთ — ქვეყანაზე, რომელიც ვიღაცისგან მხარდაჭერას ითხოვს, ბუნებრივია, ეს ვიღაც მხარს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე დაგიჭერს. ასეთ პირობებში, საზოგადოების ნაწილისთვის მისაღები აღმოჩნდა, საქართველო მიგრანტის როლში იყოს.

მიგრაციაში მყოფთათვის მიუღებელია დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც უარს ამბობს, საქართველო ევროპეზე დამოკიდებული, ანუ მიგრანტი იყოს. ამ ფონზე, ზურაბიშვილი აქციაზე გამოდის და აცხადებს, გეზი ევროპისკენ უნდა ავიღოთო. რომელი ევროპისკენ, სადაც თვითონ არიან არეულები და ამერიკა და ევროპა ერთმანეთს ებრძვიან?!

— საუბარში ახსენეთ, გუშინდელი აქცია შეურაცხმყოფელი იყო. რა იგულისხმეთ?

— მოგახსენებთ. აგერ, გუშინ, პარიზის სასამართლომ ევროკავშირის ფულის უკანონოდ გამოყენებაში მარინ ლე პენი დამნაშავედ ცნო. ამ დროს ჩვენ გვასწავლიან ჭკუას, როგორ მოვექცეთ ოპოზიციას, დავარბიოთ თუ არა მიტინგი. არადა, თავად მიტინგების დარბევისას მსხვერპლი ჰყავთ-ხოლმე. ამ დროს, როცა ზურაბიშვილი გამოდის და დაბეჯითებითი ინტონაციით გვიმტკიცებს, რომ მწკრივში უნდა მოვეწყოთ და ევროპისკენ სვლით ვიაროთ, ეს შეურაცხმყოფელია. ჩვენც ვუყურებთ საინფორმაციო გამოშვებებს და ვხედავთ, რა ხდება მსოფლიოში. რატომ მივაჩნივართ იდიოტებად?! ევროპა კარგია მაშინ, როცა ჩვენ ვართ ღონიერი. თუ ჩვენ სუსტი ვართ, ევროპა გადაგვივლის. ამ დროს ამის უგულებელყოფა ხდება და გვაჯერებენ, მთავარია, „ევროპა, ევროპა“ იძახო და ხელში მისი დროშა გეჭიროსო. მაგ დროშას შუაში ილონ მასკმა ნამგალი და ურო ჩაუხატა იმის ნიშნად, ევროკავშირი საბჭოთა კავშირის მსგავსი მოვლენაა. ამიტომაც მიჩნდება შეურაცხყოფის განცდა, როცა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს აქაური ოპოზიციურად განწყობილი სპექტრი, მით უფრო, ზურაბიშვილი არ იმჩნევს და ისე გველაპარაკება, თითქოს გარშემო არაფერი ხდება. ეს შეურაცხმყოფელია.

— გუშინ მომიტინგეები აცხადებდნენ, როგორც ზვიადმა გაიმარჯვა, ჩვენც ისე გავიმარჯვებთო. ამ ბრძოლებს შორის რა სხვაობაა?

— 1991 წელს ბრძოლის სიმბოლო მერაბ კოსტავა იყო. ისტორიაში ბევრი მაგალითი ვიცით, როცა სრულიად სამართლიანი ბრძოლა მარცხით მთავრდებოდა, რადგან ბოროტი ძალა ძლიერი იყო. მაშინ თავად რუსეთი დასუსტდა და გადაწყვიტა, რომ მისთვის იმპერიად დარჩენა სახიფათო იყო. ამ ტალღას შეუწყო ხელი ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ. ჯერ კიდევ გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლამდე გორბაჩოვმა სსრკ მასშტაბით რეფერენდუმი ჩაატარა და აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის 70% საბჭოთა კავშირში დარჩენას უჭერდა მხარს, რაც დაუჯერებელი იყო. ანალოგიური გამოკითხვა თბილისშიც ჩავატარეთ და იგივე შედეგი დაფიქსირდა. აი, სწორედ ეს დამოკიდებულება, რომ საბჭოთა კავშირში უნდა ვყოფილიყავით, შეცვალეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. მათ მენტალური რევოლუცია მოახდინეს.

რაც შეეხება ახლანდელი ბრძოლის სიმბოლოს, ეს არის გოგონა, რომელიც გაჰყვირის: არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობაო. სხვა არავინ დარჩა, ოპოზიციური პარტიები ჩრდილში არიან და მათთან გამოჩენისაც კი ეშინიათ. ოპოზიციური ფიგურაც კი აღარ ჰყავთ სიმბოლოდ. კოსტავასგან განსხვავებით, აქ ბრძოლის სიმბოლო აპოლიტიკურია. ოპოზიცია სიმბოლოდ ზურაბიშვილის წარმოჩენას ცდილობს, თუმცა, ის ამ საქმეში ვერ გამოდგება, — იგი ვერასდროს შეკრებს ხალხს, რომელიც კოსტავას გარშემო იკრიბებოდა. ახლა აქციაზე დგანან მერაბ კოსტავას სურათით ხელში და მზია ამაღლობელისა და სხვა პატიმრების გათავისუფლებას ითხოვენ და მათ პოლიტპატიმრებს უწოდებენ. ესეც უხერხულია. მერაბ კოსტავას ადამიანზე ხელი არასდროს აღუმართავს, ხოლო ვისაც ახლა პოლიტპატიმრებად აცხადებენ, მათ პოლიციელების მიმართ პიროტექნიკა გამოიყენეს, ამაღლობელმა კი ხელიც გაარტყა. ეს აღარ არის პოლიტიკა, დისიდენტობა იმ გაგებით, მერაბი და ზვიადი რომ იყვნენ.

— ზურაბიშვილი ტრიბუნიდან წინააღმდეგობის პლატფორმის შექმნაზე თავმომწონედ რომ საუბრობდა, ხალხმა ქვემოდან ამოსძახა, ვინ დაიწყო ომიო...

— ზურაბიშვილი იმდენსაც ვერ ხვდება, ასეთ შეკითხვას რომ სვამს საზოგადოება 31 მარტს, რა დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ. ე. ი. ხალხმა იცის, რა პოზიცია ეკავა ამ ქალბატონს ზვიადის მმართველობისა და ასევე, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. 31 მარტს მისი ტრიბუნასთან გამოსვლა ამ გაგებითაც შეურაცხმყოფელი იყო. იგი არ გახლავთ ფიგურა, რომელსაც ხალხი გაჰყვება. ოპოზიციური განწყობილებების სიმბოლოდ ზურაბიშვილი არ გამოდგება. მიზეზი სხვაც არის: გუშინ მისგან ყველა სიახლეს ელოდა და რა თქვა ახალი? — არც არაფერი, ისევ იგივე გაიმაორა.

— ბატონო რამაზ, სალომე ზურაბიშვილის სიტყვით გამოსვლის დასრულებისთანავე, 31 მარტს, რუსთაველის გამზირზე უკრაინის ჰიმნი გაისმა. ეს რა კავშირში იყო ამ დღესთან?

— ადვილი დასაკავშირებელია. ზურაბიშვილს გვერდით ედგნენ აქციის მონაწილეები, რომელთაც ხელში ეჭირათ ტრაფარეტები: „თავისუფლება მიშას“. რომელი ქვეყნის მოქალაქეა სააკაშვილი?! ასევე, ვინ ემხრობოდა საქართველოს ომში ჩაბმას?! — ჩვენი ოპოზიცია. რეალურად, უკრაინა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირებაში საჯილდაო ქვა გახდა. ამიტომ, ხელისუფლებასთან მიმართებით უკრაინას ნიშნისმოგებით ახსენებენ. შედეგად, დამოუკიდებლობის დღეს უკრაინის ჰიმნი დასცხეს. ეს ხომ უკვე დამოუკიდებლობის დაკარგვის აქტია. დიახ, დამოუკიდებლობის სულიერად დაკარგვის აქტი. ანუ, გამოდის, დამოუკიდებლობის საკითხი იმდენად არ აწუხებთ, რამდენადაც ეს პოლიტიკური თამაშები. ანუ, მათთვის დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანი არ არის. პრობლემა კიდევ იცით, რაშია? საგამოძიებო კომისიის სხდომებზე ნაცების მიერ ჩადენილ არაერთ დანაშაულს ფარდა ეხდება და ამ დროს მათ მომხრეებს არ აწუხებთ, ვის უჭერენ მხარს არა პოლიტიკურად, არამედ ზნეობრივად. რა ზნეობის ხალხს უჭერენ მხარს, ეს საკითხი მხარდამჭერების დიდ ნაწილს არ აწუხებს. ეს სერიოზული პრობლემაა.

ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს, მათთვის ცარიელი სიტყვებია, არ ახსენდებათ, რომ ქართველები არიან. მიშას პლაკატები გუშინ შემთხვევით როდი იყო აფრიალებული. სააკაშვილი ის კაცია, რომელმაც დაკარგულ სოფლებს ქვების გროვა უწოდა, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე უარი თქვა და სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო. მისთვის ქართველობა და საქართველო ღირებულება არ არის. მიშისტური მენტალიტეტის ხალხი საჭიროა იმ უცხოელებისთვის, ვისაც აქ თავისი პოლიტიკის გატარება უნდა, რაც „ქართულ ოცნებასთან“ არ გამოუვიდათ, — დაუკვეთეს და მან არ შეასრულა. ხელისუფლება დასავლურ ზეწოლას ებრძვის. მას თავისი ლოგიკა და გამართლება აქვს. თავდაცვის მიზნით „ქართულმა ოცნებამ“ ორიენტაცია ჩინეთზე აიღო. ჩვენ ხომ ჩინეთისა და იმის გამო გვებრძვიან, რომ მას კარს ვუხსნით. ჩინეთისთვის კარის გაღება ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზაა. თუ ჩინეთს კარს გაუხსნი, ევროპისთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდები. ასე მარტო საქართველო კი არა, არამედ აზიისკენ კარი, ან აზიის კარი ევროპისკენ, ანუ ხიდი იქნები. ამის გამო ზეწოლის გაძლება გვიწევს. თუ ზეწოლას ბოლომდე გავუძლებთ და ეს ხიდი გაიდება, მერე თვითონ დასავლეთი ეცდება, ჩვენთან რაც შეიძლება მომგებიანი ურთიერთობა ჰქონდეს.

თამარ შველიძე

ისტორიულ ფესვებს არ უნდა მოვწყდეთ

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

— ბატონო გიორგი, ბოლო დროს განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა, ქაოსმა, მიგვავიწყა სულიერება, მწერლობა და ის, რომ ადამიანები ვართ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, გაფურჩქვნის ნაცვლად, კულტურა, განათლება ფსკერისკენ დაეშვა. ეს რით აიხსნება?

— როცა მე-19 საუკუნეში საქართველოს ეროვნული განათლების სისტემა, ეროვნული სკოლა ყალიბდებოდა, ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა და სხვა დიდმა მამებმა ხაზგასმით თქვეს, რომ საგანმანათლებლო სისტემას, კულტურას საფუძვლად ორი მთავარი პრინციპი უნდა დასდებოდა — **ეროვნულობა** და **ზნეობრიობა.** ეროვნულობისა და ზნეობრიობის პრინციპზე აგებული სკოლა არის ის, რაც საქართველოს და ქართველობას სჭირდება. თუ ჩვენ იმდროინდელ ლიტერატურას, სასკოლო სახელმძღვანელოებს გადავხედავთ, თუნდაც, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“, „ბუნების კარს“ და ა. შ. დავინახავთ, რომ ეროვნულობისა და ზნეობრიობის ხაზი ბოლომდე იყო გატარებული. მათ მიაჩნდათ, რომ ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი იყო თაობების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდა და ამგვარივე საზოგადოების შექმნა. ახლა სწორედ ამ პრინციპების იგნორირება ხდება. თუნდაც ისეთი იოლად გასააზრებელი ლექსი, როგორიც „სამშობლო ხევსურისაა“, აღარ ისწავლება. შედეგიც სახეზეა.

— საქართველო ცივილიზაციათა შემკრები იყო. ახლა ხან ევროპელობას ვიჩემებთ, ხან ნატო-ში შესვლა გვინდა. ვინ არის ქართველი — ამაზე აღარ ვლაპარაკობთ!

— შეკითხვა ძალიან საინტერესოდ დასვით. მართლაც, ვინ ვართ ჩვენ?! მე-19 საუკუნეს თუ გავიხსენებთ, იმ პერიოდში მტერი ჩვენს დაშლას, დაქუცმაცებას და ერთმანეთთან დაპირისპირებას ცდილობდა. ერთიანი, მთლიანი ქართული საზოგადოება მტერს არ სჭირდებოდა. მათი აზრით, საქართველოში ქართველები, მეგრელები, სვანები, კახელები, იმერლები... ცხოვრობდნენ, რომელთაც ცალ-ცალკე ერებად მოიხსენიებდნენ. დიახ, ქართველების ამგვარი დაყოფა სწორედ ჩვენს მტრებს აძლევდა ხელს, რადგან ასე დანაკუწებული, ერთმანეთთან დაპირისპირებული იოლად „მოსავლელი“ და „მოსაჭკვიანებელი“ ვიყავით. მათთვის ასე იყო სასარგებლო... ვინ ვართ ჩვენ? მაშ, ვინ არის ქართველი? — ამ შეკითხვაზე აკაკი წერეთელმა შესანიშნავი პასუხი გასცა. მას მავანმა იმერლობა წამოაყვედრა. აკაკიმ მიუგო: იმერელი ვარ და ეს მეამაყება, ღმერთმა ნუ მომიშალოს იმერლობა, რომელიც იგივე ქართველობააო. აკაკის აზრით, იმერლობა, კახელობა, ქართლელობა, მეგრელობა, სვანობა, ხევსურობაა ქართველობა. აი, სწორედ საკითხის ამგვარი გააზრება უნდა დამკვიდრდეს ახლაც — საქართველოში ყველანი ჩვენ-ჩვენი კუთხიდან მოვდივართ და იმ დიდ ერთიანობას ვქმნით, რასაც ქართულ ფესვებზე, ტრადიციებზე დაფუძნებული ქართული საზოგადოება ჰქვია.

გავიხსენოთ, როგორი დაპირისპირება გამოიწვია საზოგადოებაში „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონის მიღებამ, როცა შიდა მტრებთან ერთად, ჩვენს ტრადიციებს, ფასეულობებს გარე ძალებიც დაუპირისპირდნენ. ამ ძალებისთვის ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობა არ არის. გვინდა კი ჩვენ ისეთი ევროპა, სადაც ქართველს უარს ათქმევინებენ საკუთარ ზნეობრიობაზე, ეროვნულობაზე, ტრადიციებზე, ან ევროპას რაში უნდა გამოადგეს ასეთი არაეროვნულები, არაპატრიოტები, არაზნეობრივები?! შესაძლოა, მათ ამ ეტაპზე ასე სჭირდებათ, თითი დაგვიქნიონ და ოჯახური ღირებულებების დაცვის კანონის გაუქმება მოგვთხოვონ, მაგრამ მათ არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ისეთი კაცი, ვისაც თავისიანი არ უყვარს, ვერც სხვას შეიყვარებს.

— კაცობრიობა ივიწყებს, რაზეც დგას — წარსულს, ფესვებს და ახალსაც ვერაფერს ქმნის. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ღირებულებები არ უნდა გქონდეთ. ეს ხომ განადგურების გზისკენ სვლაა?

— ამის პასუხად მახსენდება აწ განსვენებული პროფესორის, გიორგი წიბახაშვილის წერილი: „ისტორიკოსებო და ფილოლოგებო, თქვენ ქვეყნის წინსვლის დამაბრკოლებლებო“ (ადრე დაიბეჭდა ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“). წერილში საუბარია იმდროინდელ ერთ-ერთ ცნობილ მოღვაწეზე, რომელმაც უცხოური გრანტი აიღო იმაში, რათა ემტკიცებინა, რომ ქართველი საზოგადოების განვითარებას სწორედ ისტორიული წარსულისადმი მისი დამოკიდებულება აფერხებს; აქცენტი სკოლაზე და ისტორიისა და ქართულის მასწავლებლებზე იყო გაკეთებული. თუ უკან არ მივიხედავთ და ისტორიულ წარსულს დავივიწყებთ, წინ წავალთო, — ამბობდა იგი. ასე ფიქრი დამღუპველია. პირიქით, ჩვენ სწორედ მაშინ დავიღუპებით, თუ იმას დავივიწყებთ, რასაც ჩვენი ისტორია, წარსული ჰქვია. ჩვენს ფესვებს არ უნდა მოვწყდეთ, ფესვებს მოწყვეტილი ხე მალე ხმება. ესაა ჩვენი უბედურება. ჩვენ ვერ შევუერთდებით იმ ტალღას, რომელიც ჩვენს ისტორიულ, ტრადიციულ წარმოდგენებს და გზას აბსოლუტურად ეწინააღმდეგება.

— ზემოთ მე-19 საუკუნე ახსენეთ. იმ დროს, ქართული მწერლობა ერთიანი მთლიანობა იყო და ყველა ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა. თუნდაც ილიას ფორმულა გავიხსენოთ: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსაო“. ამ ლექსში მწერლის კონცეფცია დევს, თუ რას უნდა ემსახურებოდეს. ახლა სად გაქრა ეს ერთობა?

— სხვათა შორის, ჩვენ, მე-19 საუკუნის ფასი ჯერ კიდევ კარგად არ ვიცით. ეს ქართული ყოფიერებისთვის უზარმაზარი მნიშვნელობის საუკუნეა. იმდროინდელმა მოღვაწეებმა იმაზე მეტის გაკეთება შეძლეს, ვიდრე წარმოგვიდგენია. „მამათა და შვილთა“ ბრძოლაში, ამ დაპირისპირებაში ბევრი საინტერესო რამ აღმოჩნდა, რაც დღემდე არ ვიცოდი. ჩვენ ბევრ საყურადღებო რაღაცას ყურადღებას არ ვაქცევთ. თქვენ ილიას „ფორმულა“ ახსენეთ. რაზე ვსაუბრობთ, როცა დღეს საკითხი ასე დგას: უნდა ვასწავლოთ თუ არა სკოლაში ილიას „აჩრდილი“, „მგზავრის წერილები“, ვაჟას „ბახტრიონი“. ეს უკვე კატასტროფის მანიშნებელია. ეს ის ლიტერატურაა, რომელმაც ეროვნული სულისკვეთება შექმნა და ერთ მუშტად შეკრა.

თუ გვინდა ეროვნული ცხოვრება, ყოფა გავაგრძელოთ, ფესვებს არ უნდა მოვწყდეთ. სამწუხაროდ, ფესვებსაც იოლად ვწყდებით და წარსულს, ისტორიასაც ადვილად ვივიწყებთ. სასწავლებლები ვეღარ ასრულებენ იმ როლს, რაც ეროვნულ სკოლას სჭირდება. დიახ, ეროვნული სკოლა ბავშვს ეროვნული სულისკვეთებით უნდა ზრდიდეს, რასაც, წესით, ეროვნული, კლასიკური ლიტერატურა ქმნის. ეს ის ჯაჭვია, რომლიდანაც ერთი რგოლიც რომ ამოვარდეს, ჯაჭვი იშლება და ვიღებთ საზოგადოებას, რომელიც არც ეროვნულია და არც ზნეობრივი. ასეთი საზოგადოება, უბრალოდ, ქართული ვეღარ იქნება. სამწუხაროდ, ეს არ ესმით. ამიტომ ჩვენთვის მე-19 საუკუნე მხოლოდ ისტორიაა, ილია, აკაკი, ან ვაჟა კი არ არის, არამედ ის თანამედროვეობაა, რომელმაც ყოველდღიურად უნდა შეგვახსენოს: ვინ ვართ, რანი ვართ, საიდან მოვდივართ და საით უნდა ვიაროთ.

— პოეტებს, რომლებიც ახლა თქვენ ახსენეთ, კოლექტიური ბერძენიშვილები არ ცნობენ. მათ ახალი თაობის ჩამოყალიბებაში ცუდი როლი შეასრულეს — ქართული კულტურის უარყოფით ახალგაზრდობას წამლავენ. ამიტომაც მივიღეთ არაფრისმცოდნე თაობა, რომელმაც სამშობლო ადვილად მოიკვეთა.

— ყოველგვარი ეროვნულის წინააღმდეგ ამხედრებული არარაობა ყოველთვის იყო და იქნება. ჩვენ ამასთან დაპირისპირება უნდა შევძლოთ. ახალგაზრდობამ უნდა გააცნობიეროს, ეს ძალა ასე რატომ იქცევა. დათაფლული, ლამაზი სიტყვებით ვიღაც უცხოელი ავტორების ქება და საკუთარის ლანძღვა-გინება რა სიკეთეს მოგვიტანს?! ისტორიის უარყოფაზე ქადაგება, კონკრეტული ნაწარმოებების, მწერლების უარყოფა, ანტიეროვნული ქმედებაა. ზოგი გალაკტიონს ლანძღავს, ზოგი — ილიას, აკაკის... რატომ? — იმიტომ, რომ დაგავიწყონ წარსული და უფრო „ლამაზი“ გზა გიჩვენონ — ევროპისკენ. ასეთი „ლამაზი“ გზა, ჩვენი წარსულის გაგრძელება ვერასდროს იქნება, რაც საზოგადოებას საბოლოოდ დაღუპავს.

— ბატონო გიორგი, წლების წინ ლევან ღვინჯილიამ მითხრა: ნამდვილი ქართველი ის არის,

ვინც ქართულ ენაში ცხოვრობსო. დღეს რა სჭირს ქართულ ენას? ქუჩებში უცხოური წარწერები თვალს ჭრის, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების „ქართული მეტყველება“ კი კრიტიკას ვერ უძლებს...

— ეს ჩვენი ეროვნული უბედურების ერთ-ერთი ნიშანია. ქართველი კაცისთვის ქართული ენა ყველაზე უფრო ფასეული და მნიშვნელოვანია. გავიხსენოთ, რას ამბობს მუხრანი: „ქართული მარტო ენაა?! — ქართული ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა!“ — ეს მხოლოდ ლამაზი, პოეტური ფრაზა კი არა, ჭეშმარიტებაა. უძველესი დროიდან დღემდე, ჩვენს ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ქართული ენისადმი ქართველი კაცის დამოკიდებულება სწორედ მუხრანის ლექსშია ასახული — ქართველი კაცისთვის ქართული ენა იყო და არის ღმერთი, ბედისწერა. ქართული ენა საზოგადოებას ყოველთვის აერთიანებდა და ერთ მუშტად კრავდა. მუხრანი ამასაც ამბობს: ისეთ ქართველს ვერ ნახავთ, რომ ქართული არ იცოდეს და ქართველი იყოსო. ეს ნიშნავს, რომ ქართველობის მთავარი, ძირითადი მახასიათებელი ჩვენი ენაა. ვინც ენა შეინარჩუნა, მან ქართველობაც შეინარჩუნა. ასე მოხდა ფერეიდანში, სადაც სარწმუნოება დაკარგეს, მაგრამ ენა შეინარჩუნეს და დღეს ქართველობენ. ასევე მოხდა ტაო-კლარჯეთშიც და სხვაგანაც. თუ ენას არ მივხედეთ და სადავეები ხელიდან გავუშვით, მძიმე დღეში აღმოვჩნდებით.



თქვენ ლევან ღვინჯილიას გულისწუხილზე ბრძანეთ, რაც ყველა ქართველის სადარდებელია. დაახლოებით, ოცი წლის წინათ, ქართულ ენაზე მასობრივი შეტევა წამოიწყეს. კერძოდ, დახურეს ენის პალატა, გააუქმეს სახელმწიფო ენის კომისია, დახურეს ქართულისადმი მიძღვნილი რადიო და ტელეგადაცემები. ეს შეეხო სასწავლო დაწესებულებებსაც... ეს გახლდათ, არც მეტი და არც ნაკლები, მასობრივი შეტევა ეროვნულობაზე. იმიტომ, რომ თუ ქართველ კაცს ენას წაართმევ, ქართველობა დაკარგულია. ამგვარი დამოკიდებულება მაშინ მავანს ხელს აძლევდა. სამწუხაროდ, დღემდე ბოლომდე ვერ გავიაზრეთ ის, რაც ოცი წლის წინათ დავკარგეთ და ახლაც არ აღდგენილა. ქუჩაში წარწერას წავაწყდებით, თუ ტელევიზიით მოვისმენთ დამახინჯებულ ქართულს, ეს ერთი უბედურებაა, რაც, საბოლოოდ, ქართულ ენას დიდ ზიანს მოუტანს. კი ბატონო, ენას ვერ მოკლავს, მაგრამ გარყვნის და გააუბედურებს.

— ადრე ტელევიზიით საგანმანათლებლო გადაცემები გადიოდა...

— კი ბატონო, იყო სატელევიზიო გაკვეთილები აბიტურიენტებისთვის, სატელევიზიო პროგრამები „ენა დედაა ერისა“, „ჩვენი ენა ქართული“, რადიოპროგრამა — „ქართული ენაი, შემკული და კურთხეული“.... ასევე, გამოდიოდა საგანმანათლებლო ჟურნალ-გაზეთები. ყოველივე ეს ქართული ენის მნიშვნელობას ყოველდღიურად გვახსენებდა. დღეს მსგავსი არაფერი ხდება. ეს ყველაფერი დაიკარგა.

— კიდევ ერთი პრობლემა გახლავთ ის, რაზეც პატრიარქიც ამახვილებს ყურადღებას: განათლების დონე დაეცა, მოზარდი თაობა ინტერნეტს მიეჯაჭვა და წიგნი დაივიწყა. განათლება ხომ წიგნიდან მოდის და არა კომპიუტერიდან?

— გეთანხმებით. ქართული სახელმწიფო ენაა და მისი განვითარების ხელშეწყობისათვის სახელმწიფო პროგრამა უნდა არსებობდეს. კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, რომელიც 2015 წელს მივიღეთ, სახელმწიფო ენის დეპარტამენტს პირდაპირ სახელმწიფო ენის პროგრამის შემუშავებას ავალდებულებს...

არ მომხდარა ეს... თქვენ ქუჩაში არაქართულენოვანი წარწერების მომრავლება ახსენეთ. კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: ქუჩაში სხვადასხვა ობიექტზე განთავსებულ წარწერებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბავშვები და უცხოელები ანბანის შესწავლას რეკლამებიდან გაკეთებული წარწერებიდან იწყებენო.... ბევრი რამ არის ამ მხრივ მოსაგვარებელი... სახელმწიფო პროგრამა სწორედ ამიტომ არის საჭირო.

— იოსიფ ბროდსკი ამბობდა: არსებობს მძიმე დანაშაული — წიგნის არწაკითხვა. თუ ადამიანი არ კითხულობს წიგნს, იგი პასუხს აგებს საკუთარი ცხოვრებით, ხოლო თუ ქვეყანა არ კითხულობს წიგნს, ის პასუხს აგებს საკუთარი ისტორიითო.

— როცა ბროდსკიმ ეს თქვა, მაშინ სხვა დრო იყო. ათეული წლების წინათ რა დამოკიდებულებაც საზოგადოებას წიგნის მიმართ ჰქონდა, იგივე ძნელად დაბრუნდება, რადგან ელექტრონულ მედიასაც თავისი როლი აქვს. *წიგნი* ტექნოლოგიებს სრულად ვეღარ ჩაანაცვლებს... სამწუხაროდ, წიგნის კულტურას ვკარგავთ. დღეს ბავშვმა შეიძლება ისე დაამთავროს სკოლა, რომ წიგნი წაკითხულიც არ ჰქონდეს. თუმცა, განათლებული ჰქვია, რადგან ინტერნეტს ფლობს კარგად. ეს სხვა რამაა. ჩემი აზრით, ის კულტურა, რაც საზოგადოების ხვალინდელი გაჯანსაღებისთვის არის აუცილებელი, არ უნდა დავკარგოთ.

— ბატონო გიორგი, არაერთხელ გვისაუბრია გამოკითხვებზე, რასაც პირადად თქვენ სტუდენტებში ატარებდით. ახლახან ტელევიზიით მოსახლეობის გამოკითხვას ვადევნებდი თვალს, რომელთა უმეტესობამ არ იცოდა, რომ ჩვენი დიდი მეფეები არც „პორშეთი“ გადაადგილდებოდნენ და არც „ლამბორჯინით“...

— რაზე ვსაუბრობთ, როცა ჩემ მიერ ჩატარებული გამოკითხვებით, 150 სტუდენტიდან ნახევარზე მეტმა ვერ მიპასუხა, როდის დაწერა ილია ჭავჭავაძემ „აჩრდილი“. უმეტესობა პასუხის დროს მერვე, მეცხრე, მეათე საუკუნეებს ვერ გასცდა. არადა, ისინი უმაღლეს სასწავლებელში მივიღეთ! ეს იმ სისტემის ნაკლია, რასაც ეროვნული გამოცდები და სასკოლო პროგრამა ჰქვია. ჩემი თაობის სტუდენტისთვის უხერხულიც იქნებოდა, გეკითხა, რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა ილია... ან ვინ დაწერა „ოთარაანთ ქვრივი“, „ბახტრიონი“ და ა. შ. ის ამ შეკითხვებს შეურაცხყოფად მიიღებდა. დღეს ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა სკოლადამთავრებულთა ნაწილს უჭირს. ასეთი სამწუხარო რეალობა გვაქვს. აქვე ერთ საინტერესო ფაქტს გეტყვით: ეროვნული გამოცდები 2005 წლიდან ტარდება. დასაწყისში საზოგადოება და თავად ხელისუფლება უკმაყოფილო იყო იმით, რომ ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტების გარკვეულმა პროცენტმა დადებითი ქულა ვერ მიიღო. და როგორ გამოასწორეს ეს ვითარება? — ბარიერი დასწიეს და მომდევნო წელს უკეთესი შედეგი მიიღეს. კი ბატონო, სტატისტიკა უკეთესი იყო, თორემ ცოდნა არ გაუმჯობესებულა. ამ გზით სიარული სიკეთეს არ მოგვიტანს...

თამარ შველიძე

რუსთაველზე მდგომთათვის უცხო ქვეყნის მსახურება ნორმაა

← 6 გვ.

მოძიებო დროებითი კომისია მუშაობას ამთავრებს. ვიმეორებ, ნაცების აკრძალვა სწორედ ამ ლენინურ-ტროცკისტული ბადიდან, მეოთხე ინტერნაციონალიდან ამოვარდნას ნიშნავს.

მე თუ მკითხავთ, საგამოძიებო კომისია საქართველოს უახლეს ისტორიას წერს. აქცენტი 2008 წლის ომზე კეთდება, მაგრამ აქედან 90-იან წლებამდე, ისტორიისთვის, ერთი ნაბიჯია. აფხაზეთში ჯარების შეყვანა აბსოლუტურად დასავლური გეგმა იყო. ხშირად ვფიქრობ: რატომ დასჭირდათ ვითარების აწეწვა. რეალურად, სამი ავტონომია გვქონდა: აჭარის, აფხაზეთისა და ოსეთის. აფხაზები მენტალურად რუსეთთან უფრო ახლოს იყვნენ, — აფხაზეთში მცხოვრებლების უმეტესობა სასწავლებლებს რუსეთში ამთავრებდა. ოსეთი კი ჩვენთან იყო ბევრად ახლოს. ჩვენ რომ ერთად ვყოფილიყავით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიები საქართველოს შემადგენლობაში ყოფილიყვნენ, კონსტიტუციაში ნატო-სკენ სწრაფვას ჩავწერდით? — ვერა, ხომ. გათვლა ასეთი იყო — საქართველო აჭარიანად უფრო ადვილი გასატეხი იქნებოდა, ვიდრე აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ერთად. სწორედ ამიტომ ჩვენივე ხელით მოგვაჭრევინეს სხეულის ნაწილები, რათა ადვილად დავემორჩილებინეთ და ფეხქვეშ გავეგდეთ. ერთად ყოფნის შემთხვევაში, ნატო-ში სწრაფვის საკითხი რომ დამდგარიყო, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი წინააღმდეგობას გაწევდნენ და, დარწმუნებული ვარ, ამას მხარს არ დაუჭერდნენ. ამიტომაც მოგვაჭრეს ისინი და ამიტომ იყო ეს ძმათამკვლელი ომები.

იგივე მოხდა უკრაინაშიც. რატომ შეავიწროვა ზელენსკიმ ყირიმის, დონბასის და ლუგანსკის მოსახლეობა, რომელთაც რუსული ენა აუკრძალა. იქაც იგივე სქემა ამუშავდა. დასავლეთისთვის სჯობდა, უკრაინა ყირიმის, ლუგანსკის, დონბასის გარეშე ყოფილიყო. თორემ, ეს რეგიონები რომ უკრაინასთან ერთად ყოფილიყვნენ, რაც დღეს ხდება, ის აღარ მოხდებოდა. დონბასი, ლუგანსკი, ყირიმი იგივე, აფხაზეთი და ოსეთია, რომლებიც ქვეყნის ლენინურ-ტროცკისტულ ბადეში აღმოჩენას, გლობალისტურ ხორცსაკეპ მანქანაში საქართველოს ჩაგდებას არ დაუშვებდნენ. არ დაგვავიწყდეს, რას ამბობდნენ ბრიტანეთში ხიდაშელი და ზაქარეიშვილი: სჯობს, აფხაზეთი დავთმოთ, რადგან ის ნატო-ში გაწევრიანებას არ დათანხმდებაო. ასე გაგვიგდეს წიხლქვეშ და ბოლოს სააკაშვილის წიხლიც ზედ დაგვაყოლეს. ასე რომ, რასაც საგამოძიებო კომისიის სხდომებზე ვისმენთ, ყველაფერი ვიცოდი, უბრალოდ, ეს ფართო საზოგადოებისთვის არ იყო ცნობილი. თანაც ამას მუნდირებში გამოწყობილი შიშველი გენერლები რომ ჰყვებიან, უკვე ბეჭედი დარტყმულია.

თამარ შველიძე

ყველამ თავის ფეხმრუდ მამიდას მოუაროს...

ევროსაბჭოში რეზოლუცია მიიღეს, რომელიც „ქართული ოცნების“ ქმედებებს გმობს და დაკავებულების გათავისუფლებას, ახალ არჩევნებს და მზია ამაღლობელის გათავისუფლებას მოითხოვს. კიდევ რა მოვიფიქროთო და „ქართული ოცნების“ მხრიდან ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის დაპაუზების დაგმობა დაამატეს. რეზოლუციას 101-მა უსაქმურმა დაუჭირა მხარი.

კეთილი და პატიოსანი!

მათ პასუხად მილიონ 200 ათასმა საქართველოს მოქალაქემ დავგმეთ ევროკავშირის რეზოლუციის მიმღები 101 არამკითხე-მოამბის მხარდაჭერა და დავიკიდეთ!

ყველამ თავის ფულზე დახარბებულ ფეხმრუდ მამიდას რომ მოუაროს, არ უნდათ?

უკვე მერამდენე კორუფციული სკანდალი აუტყდათ შუაგულ ევროპაში ძალად ჭკუისაკითხავ გვამებს და კიდევ რამდენი უნდა გაუსკდეთ, მე შორს ვარ და ველარ ვითვლი, მაგრამ თვითონ ხომ იქვე არიან და დაითვალონ.

წავლენ-წამოვლენ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლება გაახსენდებათ ხოლმე — სასხვათაშორისოდ, ისე გამოჰყავთ, თითქოს საქართველოზე და ქართველ ხალხზე ფიქრით ღამე ველარ იძინებენ, მაგრამ რეალურად რა არ აძინებთ, ორივე მხარემ ხომ მშვენივრად ვიცით.

წადით, შვილოსა, ბრიუსელის გულში ფულის გათეთრება რომ აგიფეთქდათ, იმას მიხედეთ!

სიტყვათა თამაშმა გამახიარულა, — ფულვიოს ასისტენტი ფულის გათეთრების ბრალდებით დააკავეს. ფულვიო და ფულიო! — დიდი კვიმატია ქართული ენა.

მე კი მემხიარულება, მაგრამ არ მგონია, „ჰუავეის“ კორუფციული სკანდალი ჩემსავით ემხიარულებოდეთ ევროპარლამენტის მემარცხენე და მემარჯვენე ცენტრის ჯგუფებს. იმ ფულვიო მარტიუსიელოს ასისტენტი ლუჩია სიმონეც ფულის გათეთრების, კრიმინალური ასოციაციისა და კორუფციის ბრალდებით დააკავეს.

ახლა ისღა მაინტერესებს, ბელგიის პროკურორების მიერ ევროპული დაკავების ორდერი იყო გაცემული, თუ რუსული ორდერი? ევროპულად იძიებენ, თუ რუსულად იმ ამბავს, თუ როგორ იყიდა ჩინურმა ტექნოლოგიურმა გიგანტმა „ჰუავეიმ“ მინიმუმ 15 ევროპარლამენტარის კეთილგანწყობა, რათა გავლენა მოეხდინა იმ საკანონმდებლო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ევროკავშირში მის კომერციულ ინტერესებს ემსახურებოდა?

ფულვიო მარტიუსელოს წინააღმდეგ გამოძიება მიმდინარეობს ორ საქმეზე: „ჰუავეის“ სკანდალი და ხარჯებით თაღლითობა. ის და ევროპარლამენტის ყოფილი წევრი ჯუზეპე ფერანდინო ეჭვმიტანილები არიან ხელმოწერების გაყალბებაში, რათა თაღლითურად მოეპოვებინათ პარლამენტის შემწეობები.

ეს კორუფციული სკანდალი ორ წელიწად-ნახევრის წინანდელ „კატარგეიტის“ სკანდალს წააგავს, როდესაც დადგინდა, რომ მასში ჩართულები იყვნენ ევროპარლამენტის წევრები კატარის, მაროკოსა და მავრიტანიის სახელით. „კატარგეიტის“ მონაწილეებს კაი-კაი ძვირფასეულობა ჰქონდათ და ამათ რა აქვთ, ნეტავ, დიდი რაოდენობით ჟენ-შენის ფესვები?

ასეა თუ ისე, მოდი, რა, თავიანთ აქოთებულს მიხედონ და საქართველოს თავი დაანებონ-მეთქი, ვიყოდი, მაგრამ არა, ველოდები, როდის გაუსკდებათ „ქართული კატარგეიტები“, — არა, ბიჯო და, ტყუილად ირჯებიან ქართველი მავნებლების თხოვნებზე, დასცხეთ „ქართულ ოცნებასო“.

მე კი ვზივარ და ვფიქრობ, რა ჯანდაბა გვინდა ასეთ ევროკავშირში, იქით ხომ არ დავუდოთ დათქმეტომ უნდა მეწყინოს, ვირისგან წიხლი რა საწყენია-მეთქი.

ახლა იმაზე გადაირივნენ, ტრამპის ადმინისტრაციის ოფიციალურ პირებს ევროპის მიმართ ზიზღი საჯაროდაც არ დაუმალავთ, თუმცა, როგორც ჩანს, დახულ კარსმიღმა ეს ზიზღი უფრო მძაფრიაო.

გუნებაში ვწონი, — რომ გაიძახიან „ახალი მსოფლიო წესრიგიო“, დაწყებულია ეგ ამბავი თუნდაც იმით, რომ მთელ მსოფლიოს ამერიკა სძულდა და ახლა ისრებმა ევროპისკენ დაიწყო გადაწევა. რა უცნაურად იცის თევზის თავმა აყროლება, თვითონ ყროლდება, ტანი კი ჯერ ისევ უსუნოა...

„მე, უბრალოდ, მძულს ევროპის ხელახლა გადარჩენა“, — დაწერა ვიცე-პრეზიდენტმა და, „სრულიად ვიზიარებ შენს ზიზღს ჩვენზე დამოკიდებულების გამო ევროპული მუქთახორობის მიმართ, ეს უბრაკიდევ ერთი მოწოდებაა ევროპული თავდაცვის გასაუმჯობესებლად.“

გამოიღვიძეს და რანაირად, — ურსულა ფონ დერ ლაიენის მეთაურობით „თავდაცვა“ აიჩემეს და მილიარდები მოითხოვეს სასწრაფო სესხით.

ვფიქრობ და ვერაფრით მოვიფიქრე, რა უნდა დაიცვან და რითი?

აშშ-ის გარეშე, უკრაინას კი არა, საკუთარ ქვეყნებს ვერ დაიცავენ, მით უმეტეს, ერთმანეთისას, აბა, რის დაცვას გულისხმობენ, რა აქვთ დასაცავი, დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება და ეროვნული სუვერენიტეტი?

მოუნხენში ვენსმა ევროპა რომ შოკში ჩააგდო, იმაზე მეტი და კარგად მე რა ვთქვა, — ევროპისთვის საფრთხე რუსეთი, ჩინეთი ან სხვა ვინმე კი არ არის, არამედ საფრთხე შიგნიდან მოდისო და ეს არის ევროპის უკანდახევა იმ ფუნდამენტური ღირებულებებიდან, რომლებსაც

ამ ფულისტ თაღლითებს დამიხედეთ, ესენი უნდა იღებდნენ ხმას საქართველოზე? საქართველოზე ენას ასველებდნენ კი არა, „თავო ჩემოს“ უნდა მღეროდნენ ერთად და ცალ-ცალკე...

„ჰუავეის“ სკანდალი გასულ კვირას დაიწყო, როცა პოლიციამ 21 რეიდი ჩაატარა ბელგიასა და პორტუგალიაში. რეიდები მოიცავდა „ჰუავეის“ შტაბბინას ბრიუსელში და რამდენიმე ლობისტის სახლს. მიმდინარე კვირის დასაწყისში რეიდების კიდევ ერთი სერია ჩატარდა ბელგიასა და პორტუგალიაში, მათ შორის, ევროპარლამენტის ოფისებში. გამომძიებლები კრიმინალური ორგანიზაციის ფარგლებში ეძებდნენ მტკიცებულებებს ქრთამის, ფულის გათეთრებისა და დოკუმენტების გაყალბების შესახებ და იპოვეს კიდეც საკმაო მკიცებულებები ხუთი ეჭვმიტანილის დასაკავებლად.

დაკავებულების ვინაობას ჯერჯერობით არ ამჟღავნებენ, მაგრამ ცნობილია, რომ ერთ-ერთი მთავარი ეჭვმიტანილი, ვალერიო ოტატია — ორი იტალიელი ევროპარლამენტარის ყოფილი მრჩეველი. მაგარია, რისი მრჩეველი იყო, რას ურჩევდა, თაღლითთეთო? ეტყობა, შთააგონებდა, რასაც შეჭამ შენია, რაც არა — დაკარგულიაო.

გამოძიებამ აჩვენა, რომ ყველა ევროპარლამენტარი, რომელიც კონკრეტულად ამ საქმეშია ჩართული, მემარცხენე, ლიბერალი და მემარჯვენე ცენტრის წარმომადგენელია.

ბი-მეთქი? — პრინციპში, უკვე დაუდო დაქმა ბატონმა კობახიძემ და მის მერეა, დოლის ბრახუნით რომ დადიან ქართველი გზაარეული „შიგევროპელები“.

ჰოდა, დგანან ახლა ნამდვილი შიგ ევროპელები და ცარიელი მუცელივით ყუყუნებენ, ეს ტრამპი რეებს ამბობსო?!

კაცი იმას ამბობს, რასთან შეხებაც ჰქონდა, — ვფიქრობ, ევროპელები მუქთახორობენ, — ევროკავშირი ვაჭრობის საკითხში, აბსოლუტურად ცუდად მოგვექცაო. ტყუილი თქვა? არა. საქართველოს რომ ორივე ცუდად ექცევა, ეს არ შევიმჩნიოთ!

ევროკავშირი მტერზე უარესი აღმოჩნდაო, — თქვა ტრამპმა და, ერთგგვარად გამიხარდა, ამხელა ამერიკას თუ ებოროტება, პატარა საქართველოზე თავდასხმები რალოდ, პათეტიკურიაო“, — მიუწერა აშშ-ის თავდაცვის მდივანმა. „თუ ევროპა არ გადაიხდის, მაშინ რა? თუ აშშ წარმატებით აღადგენს ნაოსნობის თავისუფლებას დიდი დანახარჯით, სანაცვლოდ, რაიმე დამატებითი ეკონომიკური სარგებელი უნდა მიიღოს“, — დაწერა სავარაუდოდ, პრეზიდენტის მთავარმა თანაშემწემ, რაშიც იგულისხმა, რომ ევროპამ და ეგვიპტემ აშშ-ს კომპენსაცია უნდა გადაუხადონ.

როგორც ჩანს, სხვა საგულისხმო არაფერი იყო, თორემ იმასაც გამოიტანდნენ.

ამ ამბავში ერთადერთი „ახალი ამბავი“ ის არის, რომ დახურულ ჩატში ჟურნალისტი აღმოჩნდა, თორემ სხვა სიახლეს ვინ რას ხედავს? ის, რომ ტრამპისა და მისი გარემოცვის საჯარო განცხადებები ერთმანეთს მთლიანად ემთხვევა, ვინმეს თუ უკვირს, ეს მისი პრობლემაა.

ტრამპმა ღიად თქვა, რომ ევროპამ უნდა შეწყვიტოს ამერიკის ხარჯზე წურბელასავით არსებობა და საკუთარ თავდაცვას თვითონ მიხედონ. ის მთლად მეხის დაცემა იყო, რომ დაამატა, უკრაინის ომი აშშ-ის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობსო.

მგონი, ბელგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გაი ვერჰოფშტადის გარდა, ჯერ კიდევ ვერავინ გააცნობიერა, რომ აშშ-ის მაღალჩინოსანთა მიმოწერა „გამოღვიძების აშშ-სთან იზიარებს, — კონკრეტულად, რას იცავთო?

რა უნდა ეპასუხათ, ის, რაც უკვე ოქროსუბნელმა მზესუმზირის გამყიდველმაც კი იცის?

დიახ, დიახ, დემოკრატიას იცავენ („დემოს“ — ხალხი, „კრატოს“ — ძალა, კანონი), სახელმწიფო მართვის ფორმას, როდესაც მთელი ძალაუფლება უშუალოდ ხალხს, ან მის წამომადგენლებს ეკუთვნით, ოღონდ, პირიქით, ევროპული პოლიტიკური ელიტების ძალაუფლებას ხალხზე და არა მხოლოდ თავიანთ არეალში! საქართველოს დაანებონ თავი და ისემც უქნიათ, 41 სარი ერთად უძებნიათ...

მცირე ხნის წინათ დაწერა როდ დრეჰერმა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ოთხმოცი წლის შემდეგ და „ცივი ომის“ დასრულებიდან თითქმის ორმოცი წლის შემდეგ, ამერიკის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ საკმარისია, დროა ევროპა გაიზარდოს.

გაიზარდოს კი არა, დროა, ევროპამ ევროპელობა დაიბრუნოს, სახე რომ აღარ შერჩა. თუმცა, რაღა სახე უნდა შერჩეს...

აკი ვთქვი, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ რეზოლუციების მიღებას თავი დაანებონ და ყველამ თავის დასაორსულებელ ფეხმრუდ მამიდას მოუაროს!..

ზურა ოქხერელი

ამას ჰქვია „ვირო, მადლიო“...

გერმანიამ „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნებს სანქციები დაუწესა! — ამის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პლატფორმა X-ზე დაწერა. დიპლომატიური უწყების ცნობით,

გერმანიამ შავ სიაში შეიყვანა ის ჩინოვნიკები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მშვიდობიანი მოქალაქეების ძალადობრივი გზებით დარბევაზე. აღნიშნული დღიდან დასანქცირებულ პირებს გერმანიის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებათ, თუმცა, კონკრეტულად ვინ არიან დასანქცირებულები, ამ დროისთვის, როდესაც ვწერ, უცნობია.

თურმე, თითქმის სამი თვეა, რაც ქართველი ხალხი ევროკავშირში დასამკვიდრებლად საკუთარი მომავლისთვის იბრძვის და ხელისუფლების კურსს აპროტესტებს. დაშინება, დაკავება და ძალადობა გრძელდება — ამის გამო შემოუღიათ დამატებითი აკრძალვები ქართველი ჩინოსნების ევროპაში შესვლასთან დაკავშირებით,

ისე რომ მოიქცნენ გერმანიის დედაქალაქში პოლიციელების წინააღმდეგ, როგორც თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე იქცეოდნენ, ფაქტობრივად, ცეცხლი გაუხსნან, საინტერესოა, მშვიდობიან მოქალაქეებად აღიქვამენ და თავზე ხელს გადაუსვამენ, თუ დასჯიან და ადგილზევე კარგად გაუსწორდებიან ფიზიკურად? თუმცა, ამჯერად ამაზე არ ვაპირებ საუბარს.

ონლაინმედია „ისაუბრეს“ ცნობით, გერმანიამ საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია დაიწყო და დეპორტირებულ მოქალაქეთა პირველი რეისი 26 მარტს განხორციელდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში.

იმავე წყაროს ინფორმაციით, დეპორტირებულთა შორის არიან გერმანიაში სამკურნალოდ წასული ქართველები, ასევე, ოჯახები მცირეწლოვანი ბავშვებით. კონკრეტული რესპონდენტის თქმით, ისინი ორ წელიწად-ნახევარი იმყოფებოდნენ გერმანიაში, რადგან ბავშვს ისეთი დაავადება ჰქონდა, რომლის დიაგნოსტირება საქართველოში ვერ ხერხდებოდა და, აქედან გამომდინარე, მკურნალობაზე საუბარი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს ყველა საბუთი ჰქონდა, მათ შორის სამედიცინო კუთხითაც, მაინც დაარეპორტეს. ინტერნეტში წავიკითხე, რომ საქართველო, შეიძლება აღარ იყოს უსაფრთხო ქვეყნების სიაშიო და ასეთი კანონი მიიღო გერმანიამ, — დეპორტაციები გრძელდება და ქართველებს პანტაპუნტით ყრიან საქართველოშიო.

როგორც ჩვენ ვხედავთ, ევროპელი (არა მხოლოდ) ე. წ. მაღალჩინოსნები ისტორიის ცოდნით ვერ დაიკვეხნიან. ამდენად, დარწმუნებული ვარ, კონკრეტულად გერმანელებს, სტალინი ვინ იყო, გადმოცემით ეცოდინებათ, მაგრამ რა ვალი აქვთ მისი მშობელი ერის წინაშე, წარმოდგენა არ ექნებათ. პირიქით, ალბათ, თუ იციან, რომ სტალინი ქართველი იყო, ვძულვართ კიდეც...

დიახ, არსებობს მადლიერება ერებს შორის, ვთქვათ, რაც ინგუშებს აღმოაჩნდათ ქართველების წინაშე, ის თაობები, რომლებიც ქართველების მადლიერი ინგუში ხალხის შვილთაშვილები არიან, თვითონ არაფერს შესწრებიან.

მაინტერესებს, იმ თანამედროვე გერმანელ მაღალჩინოსნებს, რომლებსაც ენა უტრიალდებათ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ და შეძლებისდაგვარად ცდილობენ, რაიმე ავნონ, იციან, ვინ აღუდგა წინ გერმანელთა სრულ სტერილიზაციას და გერმანელი ერის სრულ განადგურებას მეორე მსოფლიო ომში მათი დამარცხების შემდეგ?

სულ მცირეოდენი ინფორმაცია ან წარმოდგენა მაინც თუ აქვთ იმის შესახებ, ვინ გადაარჩინა გერმანელი ერი და გერმანული სახელმწიფოებრიობა?

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ამერიკულმა და ბრიტანულმა ელიტებმა გადაწყვიტეს, რომ გერმანიის სახელმწიფო სრულად გაენადგურებინათ და მისი მიწები მეზობლებსა და მოკავშირეებს შორის გადაენაწილებინათ.

რაიხის საგარეო საქმეთა მინისტრს, იოახიმ ფონ რიბენტროპს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ. სანამ ჩამოახრჩობდნენ რამდენიმე თვე გაატარა ციხეში და ამ დროის განმავლობაში დეტალური მემუარები დაწერა. მან გაიხსენა თუ როგორ ჰკითხა ჰიტლერს ომის პერიოდში: "თუ ამ ომში მოვიგებთ, რას უპირებთ სტალინს ფიურერო?" ჰიტლერმა უპასუხა: "მივცემ ყველაზე დიდ ციხე-სიმაგრეს გერმანიაში და იქ პატივით ვაცხოვრებ."

თავად „გერმანელი ხალხის პრობლემის გადაწყვეტა“ დასავლეთელებმა საყოველთაო სტერილიზაციით განსაზღვრეს, მაგრამ ამ გეგმას წინ ქართველი, გორელი სტალინი აღუდგა და ამით შეაჩერა გერმანელი ერის სრული განადგურება. მხოლოდ ამან გადაარჩინა გერმანელი ერი, მაგრამ ამას არ დასჯერდა.

„გორელი“ იმიტომ აღვნიშნე, რომ დიდი ხნის გარდაცვლილი სტალინის აჩრდილიც კი აშინებთ მავანთ. პოლონეთის ელჩმა საქართველოში, მარიუშ მაშკიევიჩმა, უკრაინა-რუსეთის საკითხზე გამართულ ღონისძიებაზე მოითხოვა, — სხვა სიტყვა არ ესადაგება: „მინდა მივმართო ჩემს ქართველ მეგობრებს. მე მაქვს ერთი შემოთავაზება. მე მესმის, რომ თქვენ ძალიან რთულ სიტუაციაში ხართ, — პატარა ქვეყანა, დიდი მეზობელი, რთული ეკონომიკური მდგომარება, — არ შეგიძლიათ რუსეთის წინააღმდეგ საუბარი და მათთვის დაწესებული სანქციების მხარდაჭერა. კარგი, მაგრამ გთხოვთ, გააკეთეთ ერთი სიმბოლური ჟესტი, დახურეთ სტალინის მუზეუმი გორში!“

პოლონეთის ელჩს, თან აქამდე, რა ჯავრი გამოჰყოლია ნეტავ, სტალინისა, ლვოვს მისტირის? — უკრაინას მოსთხოვოს უდიდესი ქალაქი დასავლეთ უკრაინაში მშვიდობიანად... ან ომით...

გერმანელებს მივუბრუნდეთ, — დასავლელი პარტნიორები (აშშ და ბრიტანეთი) არ ისვენებდნენ და გერმანიის სახელმწიფოებრიობის ერთხელ და სამუდამოდ დასრულება უნდოდათ, ხოლო მისი მიწები ყველა მის მეზობელს სამუდამოდ უნდა გაენაწილებინა თავიანთ ტერიტორიებად.

სტალინმა ეს „პროექტიც“ გააჩერა, არც ამაზე დათანხმდა, — გერმანია მხოლოდ ორ ნაწილად გაყო საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ მოკავშირეებს შორის.

გერმანია და გერმანელები რომ ჰქვიათ, ამასაც ქართველ სტალინს უნდა უმადლოდნენ, მაგრამ მადლიერების ნაცვლად, ასე რომ იქცევიან, მხოლოდ ეს ორი ძირქართული სიტყვა-თქმა მაგონდება „ვირო, მადლიო“ და „ავადმყოფი ლოგინში უნდა... „მოკლაო“...

ზურა ოშხერელი

იაგო ხვიჩია: თუ პოლიტიკური პარტია ხარ, არჩევნებში უნდა მიიღო მონაწილეობა

ბლიც-ინტერვიუ პარტია „გირჩის“ ხელმძღვანელ იაგო ხვიჩიასთან

- ბატონო იაგო, თქვენ განაცხადეთ, რომ მონაწილეობას იღებთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. რა მოლოდინები გაქვთ იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო არჩევნებში საკმარისი ხმები ვერ მოაგროვეთ?

- გააჩნია. ბევრ რამეზეა დამოკიდებული. როგორ ჩატარდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები: ჩატარდება ის ოპოზიციის მონაწილეობით, თუ მის გარეშე, საერთოდ, მშვიდობიანად მივალთ იქამდე თუ არა. ჩვენ, ზოგადად, ვთქვით, რომ თუ პოლიტიკური პარტია ხარ და არჩევნები ტარდება, მასში უნდა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მოლოდინებზე საუბარი, ჯერჯერობით, რთულია. ჩვენ გვინდა, რომ ვიპოვოთ ახალი ადამიანები, რომლებსაც პოლიტიკაში მოსვლა უნდათ და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს გამოიყენებენ ტრამპლინად. დანარჩენი ვნახოთ, როგორც იქნება - ისე იქნება.

- რას იტყვით ოპოზიციის შიდა რყევებზე? რა უნდა მოიმოქმედოს ოპოზიციამ, რომ ეს პროცესი შეჩერდეს?

- დაიშალონ, დაანებონ თავი პოლიტიკას და გზა დაუთმონ ახალ სახეებს. ეს იქნებოდა ოპოზიციის დიდი ნაწილისთვის სწორი გამოსავალი, მაგრამ ოპოზიცია ჭრელია და ყველასთვის შეიძლება ეს რეცეპტი არ იყოს სწორი, მაგრამ მთელი ეს საარჩევნო სიის №4, №5, №9, №25 პოლიტპარტიების კამპანია რაც იყო, ყველამ შესანიშნავად ვიცით. სჯობს, რომ ამ ადამიანებმა, ვინც ხალხს იმედები გაუცრუეს, თავი დაანებონ პოლიტიკურ საქმიანობას და გზა ახალ სახეებს დაუთმონ.

- რას ფიქრობთ სალომე ზურაბიშვილის საკოორდინაციო ფორმატზე, რა მოლოდინები გაქვთ, გამართლდება თუ არა?

- გამართლდება კი არა, ამ ფორმატთან დაკავშირებით მოლოდინების ქონაც კი არ შეიძლება. ქალბატონმა სალომემ საკმარისზე მეტი გააკეთა იმისთვის, რომ იმედი არავის არ ჰქონდეს არაფერში. პირიქით, ჩემი აზრით, ყველაფერი, რასაც ქალბატონი სალომე ხელს ჰკიდებს, ფუჭდება და არაფერი ბოლომდე არ მიდის. ეს პროცესი გაგრძელდება ამ საკოორდინაციო საბჭოთი და შეუძლებელია, ამ პროცესთან დაკავშირებით რაიმე მოლოდინები გვქონდეს.

- რა აზრის ხართ ნარკოპოლიტიკის არსებული კანონის შესახებ?

- ისეთის, როგორსაც ნარკომანები იმსახურებენ საქართველოში, მაგრამ არ იმსახურებს ნორმალური ხალხი, რომელსაც სისხლს უშრობენ ამით. ზოგადად, ის ხალხი, რომელსაც „ქართული ოცნების“ ნარკოპოლიტიკა მოსწონდა, ხმას აძლევდა, მხარს უჭერდა და არჩევნებზე დაუჭირეს კიდეც, მე მგონი, იმსახურებს იმ ნარკოპოლიტიკას, რაც დღეს ქვეყანაში გვაქვს, სამწუხაროდ. თორემ ისე, სინამდვილეში, ისეთი ნარკოპოლიტიკა გვაქვს, რომელიც ნორმალური ადამიანისთვის ძალიან შეურაცხმყოფელია, რომელშიც არ არის გათვალისწინებული ჯანსაღი საზოგადოების ინტერესები.

ნაზი ბერიძე

„მართალს ვიტყვი...“

ღია წერილი ხელისუფლებას

ბატონებო!

მეფეებს, ჩვენშიც და სხვაგანაც, სიტყვის შებრუნებას ვერავინ უბედავდა. ნაზირ-ვეზირთა მოვალეობა მხოლოდ ქება-დიდება და მბრძანებლების თაყვანისცემა იყო. გონიერმა მეფეებმა, ცხადია, იცოდნენ, რომ შეუმცდარი მხოლოდ ღმერთია და თუ ვინმე მეფეს მართალს არ ეტყოდა, მისგან შეცდომის დაშვება გარდაუვალი იყო, რაც კარგს არაფერს მოუტანდა სამეფოს. ამიტომ იყო, რომ თითქმის ყველას ჰყავდა სამეფო კარის მასხარა, რომლებიც, არცთუ საზარბიელო სტატუსის მიუხედავად, ერთობ გონიერი ადამიანები იყვნენ. ნაზირ-ვეზირები ლაღობდნენ მასხარას გადაკრულ საუბრებზე, მეფე კი გულდასმით უსმენდა მას და შესაბამის დასკვნებსაც აკეთებდა.

დიდი ბოდიში, მაგრამ თქვენს ხელისუფლებაში არავინ ჩანს ისეთი, რომელიც თქვენს პოლიტიკურ, თუ სხვა სახის შეცდომებზე საჯაროდ გამოთქვამს კრიტიკულ აზრს და ალტერნატიულ პოზიციასაც დაანახვებს ხალხს. დემოკრატიულ ქვეყნებში ამ მიზნით ოპოზიცია არსებობს პარლამენტში და მის გარეთ, მაგრამ თქვენს პარლამენტში (არც ახლანდელში და არც წინა მოწვევისაში) ოპოზიცია არ ყოფილა და არც ახლა არსებობს. თქვენი შეფასებით (ჩვენი აზრითაც) ოპოზიციაში არიან მხოლოდ მავნებლები, ქვეყნის მოღალატეები, უცხოელი აგენტები, რომლებიც ქვეყნის ჩამოქცევა-განადგურებას ცდილობენ.

თქვენი დღევანდელი პოზიცია, ძირითადად, მომწონს და გაქებთ ამისათვის, მაგრამ ის იძულებითი შეცდომები, რომელიც დაშვებული გაქვთ, ძალიან გამძიმებთ და იმის ხშირად გამეორება, რომ გარეძალების ზეწოლის შედეგია ეს, ტვირთს ვერ შეგიმსუბუქებთ. ახლა იმას უნდა ცდილობდეთ, რომ ის შეცდომები აღიაროთ და გაემიჯნოთ მათ!

მე რამდენიმე საბედისწერო შეცდომაზე მიგითითებთ დიდი გულისტკივილითა და სინანულით.

1. **„ყულფი“**. საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერილი მუხლები იმის თაობაზე, რომ ქართველი ხალხის უზენაესი მიზანია ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება, რადგან ჩვენი ერი საუკუნეების განმავლობაში ევროპისაკენ მიილტვოდა და თავს ევროპის ცივილიზაციის ნაწილად მიიჩნევდაო! ეს თუ მართლა გჯეროდათ, ის არ იცოდით, რომ ევროკავშირში შესვლა გულისხმობდა გენდერული თანასწორობის აღიარებას, ლგბტ აღლუმებისა და პრაიდების ჩატარების უზრუნველყოფას, კაცის კაცთან ქორწინების დაკანონებას, ერების აღრევას და მულტიკულტურული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობას? თუ არ გჯეროდათ, შარლ მიშელის ცხრა თუ თორმეტპუნქტიანი საშინაო დავალების შესრულებისათვის რატომ ირჯებოდით? ეს კონსტიტუციური ნორმა არის ის ყულფი, რომელშიც საქართველოს ჯერ კიდევ თავი აქვს გაყოფილი!

ან ის „ანტიდისკრიმინაციული“ კანონი რომ მიიღეთ, არ იცოდით, რომ მისი შეუსრულებლობისთვის იმ ოჯახის უფროსები დაგსჯიდნენ, რომელი ოჯახის წევრობის კანდიდატობაზეც ამდენს ირჯებოდით და კანდიდატობა, რომ მიიღეთ ზარ-ზეიმი გაგვიმართეთ ჩვენ, მომავალ ევროპელებსა, თუ უკვე კაი ხნის ევროპელებს.

ახლა ხშირად იმეორებენ, იერუსალიმის გასათავისუფლებლად მოწყობილ ჯვაროსნულ ლაშქრობაში დავით აღმაშენებელმაც გააგზავნა ქართველთა რაზმიო, რაც ევროპისაკენ მის მისწრაფებებზე მეტყველებსო, დიდი შეცდომაა, ბატონებო! უფრო მეტი თუ არა...

ის ყულფი, რომელიც საკუთარი ხელით გამონასკვეთ, არსად გამქრალა, რადგან ბოლომდე სიმართლეს ვერ ამბობთ. იმის თქმა, რომ „ჩვენ ღირსებით, ჩვენი ტრადიციებით, იდენტობით, სარწმუნოებით, თავაწეულები შევალთ ევროპულ ოჯახში“, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, სრულიად უპერსპექტივოა. ამის დასტური იყო ევროპარლამენტის ის რეზოლუცია, რომელიც 405 კაცის თანხმობით მიიღეს 13-ის წინააღმდეგ. ის ცამეტი იყო თქვენს მხარეზე. აბა, მითხარით, როგორი თავაწეულები შეხვალთ ევროკავშირში? გამოსავალი ის არის, ჩემო კეთილებო, რომ გადაჭრით და პრინციპულად უარი თქვათ იმ არჩევანზე, რაც კონსტიტუციაში დააფიქსირეთ.

2. **სტრატეგიული მეგობრების შესახებ**.

ბატონებო! უკვე ათ წელზე მეტია, აშშ-სთან სტრატეგიულ მეგობრობაზე გველაპარაკებით. ნახევარი საქართველო, ალბათ, კიდეც დაარწმუნეთ ამაში. თქვენ განათლებული ადამიანები ხართ და იცით, რომ ეს მტკნარი სიცრუეა უინსტონ ჩერჩილს აქვს ნათქვამი: „ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მეგობრები, ინგლისს აქვს მუდმივი ინტერესები“-ო. „ამერიკასთან მტრობა სახიფათოა, მეგობრობა კი — დამღუპველი“. ეს სენტენცია ამერიკის კონტინენტზე შეიქმნა, მის ახლო თუ შორეულ სამეზობლოში.

3. **ცალმხრივი მეგობრობის შესახებ**. ცალმხრივი სიყვარული არსებობს, ცალმხრივი მეგობრობა — არა! მეგობრობა სიყვარულს გულისხმობს. აბა, კაცი თუ გძულს, მისი მეგობარი როგორ იქნები?! როდესაც უკრაინის ხელისუფლებამ არამეგობრული დამოკიდებულება გამოხატა კი არა, აშკარა მტრობა გამოუცხადა საქართველოს, თქვენ ბრძანეთ და ახლაც იმეორებთ, უკრაინასთან ცალმხრივ მეგობრობას განვაგრძობთო. უკრაინის ხელისუფლებამ არა მარტო მტრობა გამოგვიცხადა, არამედ უპრეცედენტო შეურაცხყოფაც მოგვაყენა.

უკრაინელები ისეთივე რუსები არიან, როგორიც „რუსეთელი რუსები“, ისევე, როგორც გურულები არიან ქართველები.

როდის იყო უკრაინელი ხალხი ჩვენი მეგობარი? გულისხმობთ, როდესაც დავით გურამიშვილი ცხოვრობდა მირგოროდის ოლქის სოფელ ზუბოვკაში?

არ არის ასეთი პოლიტიკა და რიტორიკა სასარგებლო!

4. **რუსოფობია მომაკვდინებელი პანდემიაა**. მისი გამომწვევი ვირუსი უვიცობაა, განსაკუთრებით ჩვენი ისტორიული წარსულისა.

სამი ათეული წელია, ტვინებს ურეცხავენ მოსწავლეებს, არამოსწავლე ახალგაზრდებს სკოლით, აურაცხელი მედიასაშუალებითა და სხვა საინფორმაციო ტექნიკით. მერე რად უნდა გვიკვირდეს, რომ „რუსი“ სალანძღავ სიტყვად იქცა. განა რუსებს არ გეძახიან თქვენ, ხელისუფლებას დღენიადაგ რუსთაველზე და სხვაგანაც მდგომი საპროტესტო აქციების მონაწილენი, რომლებსაც მტრები მართავენ, მაგრამ ტვინგამოურეცხავი ადამიანები ეგრე ბრმად არ დაიჯერებენ იმ საშინელ სიცრუეს, რომ რუსეთი ისტორიული მტერია საქართველოსი. უმადურობა დიდი ცოდვაა, რომლის გამო ვისჯებით და უფრო დიდი სასჯელი წინ გველოდება, თუ ჩვენი პოლიტიკური, ანტირუსული რიტორიკა არ შეიცვლება.

ისე, სიმართლე ის არის, რომ აფხაზეთმა კი არ დაგვკარგა ჩვენ, ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთი დიდი ხნის წინათ. ისტორია ვინც იცის, ის მიხვდება ამას. იმედი მაქვს, თქვენ იცით ეს!

5. **პური მეპურემ უნდა გამოაცხოს და არა თუნდაც გენიოსმა იურისტმა, თუ ფილოსოფოსმა**. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც საქართველოში დამკვიდრდა დარგის ხელმძღვანელებად ამ დარგის არმცოდნე ადამიანების დანიშვნა. როცა ამას ვაპროტესტებდით, მედასავლეთეები გვპასუხობდნენ, ასეა ამერიკასა და ევროპაშიო. დარგის ხელმძღვანელი მენეჯერია, რომელმაც შეიძლება სულაც არ იცოდეს, რა კეთდება ამა თუ იმ დარგშიო.

ამერიკაში, ტრადიციულად, მართლაც ასეა, მაგრამ ის, რაც ეფექტიანია იქ, შეიძლება დამღუპველი იყოს აქ.

ჩვენთან ამგვარი მიდგომა მეტწილად კომიკურ და სასაცილო შინაარსს იძენს, რაც უფრო სატირალია, ვიდრე სასაცილო.

თქვენ, ბატონებო, გგონიათ, რომ განათლების მეცნიერება, მედიცინა ან კულტურა მეცნიერული ცოდნის გარეშე უნდა იმართებოდეს? ან ჯარი მარტო აღლუმებზე ფეხშეწყობით მოსიარულე ხალხის სიმრავლეა? არა მგონია, ასე გეგონოთ, მაგრამ ჯანდაცვის მინისტრი იურისტია, განათლების მინისტრი — ესეც, ისიც და იმის წინაც ხომ იურისტები იყვნენ, კულტურის მინისტრადაც კარგა ხანს იყო იურისტი. ეს ადამიანები, თავისთავად და იურისტობითაც, იქნებ, ძალიანაც კარგები არიან, მაგრამ...

განათლების სისტემას რა ზიანიც მიაყენეს არაპროფესიონალებმა, რის გამოსწორებასაც ათწლეულები დასჭირდება, ამაზე ბევრი დაგვიწერია და საჯაროდ გვითქვამს, მაგრამ...

6. **მედასავლეთელთა იდიოტიზმი**. ამ ბოლო ხანებში ტელეეკრანებიდან, ტელეწამყვანთა, ექსპერტთა, რიგით პოლიტიკოსთა, თუ პარლამენტართა, შიგადაშიგ მინისტრთა ბაგეთაგან ჩემთვის (და სხვისთვისაც) გაუგებარი გამოთქმა ისმის: „ოცი ოცდაოთხ წელს...“, „ოცი ოცდახუთ წელს...“, „ოცი ოცდარვა წელს კი...“ ერთი ხანი ვფიქრობდი მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი ერევათ-მეთქი ერთმანეთში ამ ერთობ განათლებულებს, მაგრამ არა! ისინი ოცი-ოცდახუთ წლებს კი არ გულისხმობენ, არამედ „ორიათას ოცდაოთხ“ და „ორიათას ოცდახუთ“ წელს ამბობენ თურმე. ეს უკვე შეცდომა კი არა **იდიოტიზმია**.

ამ ევროპელებმა გაიგეს, რომ ინგლისელი „2024“-ს ასე კითხულობს — თვენთი თვენთიფო“ ანუ ოცი ოცდაოთხიო. იფიქრეს, აი, რაციონალური წაკითხვაო და... ამ უბედურებმა ის კი არ იციან, რომ „ორიათასოცდაოთხი“ ერთცნებიანი სიტყვაა, ანუ სრულყოფილი ცნებაა, უნაკლო განსაზღვრებაა, ის ინგლისური კი სრულყოფილი განსაზღვრება არ არის.

ძვირფასო ხელისუფლებავ, „ენის პალატა“ უფრო სჭირდება საქართველოს, ვიდრე ლუგარის ლაბორატორია!

7. **ღვთის რწმენა და ფარისევლობა**.

ეკლესიაში სიარული, განსაკუთრებით რელიგიურ დღესასწაულებზე, სანთლითა თუ კელაპტრით ხელში წირვაზე დგომა ღვთის რწმენა არ არის, თუ ეს რწმენა შენს ზნეობრივ და მსოფლმხედველობრივ ორიენტაციებს არ განსაზღვრავს.

„მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბედ რად, ვინც არ არის კახაბერი, მას ვერ ვიტყვი კახაბერად!“

მე სამეფო კარის მასხარას პროფესიას ვერ ვიკისრებ, რადგან დღეს მასხარებს კი არა, ბრძენკაცებს არაფერს უჯერებენ, მაგრამ მართალს ისე ვამბობდი მუდამ, არც არავის მოვრიდებივარ და არც აწი მოვერიდები...

ზურაბ ცუცქირიძე
განათლების მეცნიერებათა დოქტორი

გამოდით, უნდა დაგთვალოთ!

სკოლაში რომ ვსწავლობდი, მაშასადამე, „კომუნისტების დროს“, არ მახსოვს, რაში დასჭირდა ისტორიის მასწავლებელს ამის თქმა, მაგრამ კი დამამახსოვრდა: ვთქვათ, დაიჭირეს კაცი და ბრალმდებელი ამბობს: ამ კაცმა მოიპარა ძაფი, რომლითაც შეიკერებოდა 100 შარვალი, 80 პიჯაკი ან 50 ლაბადა, ხომ შევიცხადებთ და ავყვირდებით: დახვრიტეთ ეგ წურბელაო. ახლა, წარმოიდგინეთ, რომ გამოდის ბრალმდებელი და ამბობს, ამ კაცმა 1 ცალი კოჭის ძაფი მოიპარა. ჩვენ აღარ ვყვირით, ერთმანეთს ვეჩურჩულებით, 1 კოჭი ძაფის გამო ადამიანის დაჭერა სირცხვილი არ არისო?

ვანო მასწავლებელი მახსენდება ამ დოლ-მეგაფონიან „არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობისტებს“ რომ ვუყურებ, რომლებიც ქუჩაში გამოვარდნიდან დღემდე წანწალის დღეებს ითვლიან და ხანგრძლივი დრო გამოჰყავთ, 100 და 150 დღე — დედაა, რამდენია! 3 თვე იმ კოჭის ძაფივითაა. სად 100 და სად — 3!

საზოგადოება, თუნდაც მათი მხარდამჭერი ან ნეიტრალური, უკვე ძალიან დაიღალა. განსაკუთრებით ისინი, ვისაც იმ გზაზე უწევს მთელი დღის დაღლილს შინისკენ წასვლა, სადაც მათ უნდა ჩაიარონ, მაგრამ ვერ მიდის, რადგან 50-100 უსაქმურის გამო, გზას კეტავენ. თითქოს პიკის საათი არ კმაროდეს, ახლა ეს ერთვის. პირადად მე, უკვე ვკითხულობ, დღეს რა დროს უნდა ჩამოიარონო და სამსახურიდან ან უნდა გამოვასწრო, ან გვიანამდე დავრჩე, რადგან გაუსაძლისია ტრანსპორტში ხანგრძლივად ყურყუტი. მათი საბოლოო დისლოკაციის ადგილზე მცხოვრებლები რა დღეში არიან? — ფიქრობენ, ისევ მე დამიჭერენ, თორემ გადავასხამდი თავზე ცივ წყალს მაინცო. რა დავაშავეთ მოქალაქეებმა, რა თმენის ვალდებულება დაგვაკისრეს, რომ ეს უნდა ავიტანოთო, — წუხს ხალხი, მაგრამ იტანს. როდემდე? — მხოლოდ ესღა აინტერესებთ.

ოდითგანვე ნატანჯ ადგილზე, ამჟამინდელ რუსთაველის პროსპექტზე ხან ფოერვერკები და „მოლოტოვის კოქტეილები“ ისროლეს სამართალდამცავების დასაწვავად, ხან ქვაფენილი აყარეს, ჯებირები ანგრიეს და ხეები თხარეს, ხან ჯადოები აკეთეს და კუბოები წვეს, ხან შარდეს და ხან მწვადი წვეს, — რა აღარ აკეთეს და „პოროხი“ — ფული რომ შემოაკლდათ, მოსწყინდათ. ახლა ერთი მუჭა „უკვდავი უსაქმურებიღა“ დაწანწალებენ და არავინ ამბობს, როდემდე უნდა იწანწალონ.

რაღაცნაირად სასაცილო მოცემულობაა, მგონი, ბატონმა კობა-ხიძემ თქვა, ამ უსაფუძვლო ქუჩის ოპოზიციას დავღლითო, ისინი კი ყვიროდნენ, ჩვენ არ დავიღლებითო და, ფაქტობრივად, შეუსრულა ხელისუფლებამ, შემსრულებლები არა მხოლოდ დაიღალნენ, არამედ დაიშალნენ, — „ხლაპუშკ-მეზარბაზნები“ თვალსა და ხელშუა გაილალნენ.

ნეტავ, ის წინ წაგდებული თავგანწირულები თავისთვის არ ფიქრობენ, რა ძალა გვედგა, ამათი დედა ვატირე, რომ გამოგვიყვენეს და სასამართლოს შეგვატოვესო? მით უმეტეს, ახლა, როცა გენერლებიც კი მორჩილად მივიდნენ პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომიტეტში და სურთ თუ არა, ტყუილს თუ მართალს ამბობენ, მაგრამ შეკითხვებზე პასუხს სცემენ.

ვინც შეშინდა და არ მიდის იმ ყურით მოთრეული გამამართლებელი მიზეზით, რომ პარლამენტი არალეგიტიმურია, იმათ ლეგიტიმურად მიუსვამენ გვერდით. თუ აქამდე იმის დანაკლისი ჰქონდათ, რომ „უფროსები“ არ ჰყავდათ და ქუჩაში სპონტანურად იყვნენ ევროპისკენ სწრაფვით გაერთიანებულ-გამოვარდნილები, ახლა გაიცნობენ თავიანთ „უფროსებს“. უბედურება ის არის, რომ ამ „უფროსების“ უფროსებს ვერავინ დაიბარებს ყურის ასაწევად და პანჩურის ამოსარტყმელად, თორემ დანარჩენი, ისე მიდის, როგორც უნდა მიდიოდეს, უბრალოდ, ადამიანი სულსწრაფია და უნდა, რომ სამართალი სწრაფად აღსრულდეს.

აქა-იქ გამოერივნენ ბრძენი კინალოკოები და დაასკვნეს, ბიძინას აწყობს, რომ სხვამ არ დაიკავოს ოპოზიციის ნიშა და ამიტომ არიან უმოქმედოდ, თორემ რა უნდა ამათი ბოდიალის ალაგმვასო. მეგონა, სწორი მიმართულებით განავრცობდნენ, მაგრამ შევცდი. გამეცინაღა — ვისაც ეს ქუჩაში მომუშავე მყვირალა „მეგაფონა გოგო“ და მისი „დრამერები“ ოპოზიცია ჰგონია, აბა, იმასა ჰყოლია წარმოსახვები ოპოზიციაში...

ისა და, ძალიან გულანთებულები სადღა არიან, ესენიღა ბჟუტავენ, მხოლოდ რეისის ორმოცდამეერთედიღა მიფრინავს „შიგ ევროპაში“?

იგავ-არაკები ვისაც უყვარს, ისიც გაიგებს და „ათას ერთი ღამის“ მოყვარულიც, რაც ბატონმა ზურა კირკიტაძემ მოაგვირისტა მარტივად გასაგები ენით:

„1996 წელს რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა. ძირითადი კანდიდატები იყვნენ - ელცინი, ზიუგანოვი, ჟირინოვსკი და იავლინსკი.

წინასწარი კვლევებით ზიუგანოვს ჰქონდა 45%, ელცინს 33%, ჟირინოვსკის 12% და იავლინსკის 8%, სხვა კანდიდატებს ჯამში 2% (გორბაჩოვიც იყრიდა კენჭს და 0,3% მიიღო).

ელცინის მარცხი და კომუნისტი ზიუგანოვის გამარჯვება არ აწყობდა რუსეთში არც მდიდარ და არც საშუალო ფენას, არ აწყობდა დსთ-ის წევრ ქვეყნებს, ევროპასა და ამერიკას.

ელცინის შტაბში იყო რუსეთის ყველა მილიარდერი, უშიშროება, დასავლეთიდან ჩამოსული საუკეთესო პოლიტ და პიარტექნოლოგები, მსჯელობდნენ, თუ როგორ აეცილებინათ ელცინისთვის მარცხი, ვერაფერი ვერ მოიფიქრეს. მხოლოდ ერთმა მილიარდერმა თქვა - მოდი, გენერალ ლებედს ვაყრევინოთ კენჭი, ეგ კომუნისტებს და ჟირინოსვსკის წაართმევს ხმებს და პირველ ტურში ელცინი მოიგებსო. ყველას მოეწონა ეს აზრი და მხარი დაუჭირეს მის წინადადებას.

ლებედი საარჩევნო კამპანიაში შემოიყვანეს ისე, რომ მან არც იცოდა, თუ მისი კენჭისყრა ელცინის გასამარჯვებლად იყო საჭირო. ის დააფინანსეს ოლიგარქებმა ისე, რომ თვითონ არ გამოჩნდნენ. მის საარჩევნო შტაბში სიტუაცია იმართებოდა ელცინის შტაბიდან და ამის შესახებ არავინ იცოდა, ვიწრო წრის გარდა.





ომი მოიგო და ასეთი გვჭირდება პრეზიდენტადო.

ერთი სიტყვით, არავინ იცოდა, ლებედი შემოგდებული კადრი რომ იყო, თვითონ ლებედმაც კი და სჯეროდა, რომ პრეზიდენტი გახდებოდა.

პირველ ტურში ელცინმა მიიღო 35%, ზიუგანოვმა 32%, ლებედმა 15%, იავლინსკი — 7 და ჟირინოვსკიმ — 5. იმ ერთი კაცის მოფიქრებულმა სქემამ კარგად იმუშავა. ოპოზიციის კანდიდატები გაწბილებული დარჩნენ.

წინ მეორე ტური იყო, იავლინსკიმ თქვა, კომუნისტებს ელცინი მირჩევნიაო, ჟირინოვსკი კომუნისტებს ვერ იტანდა და მათ მხარს არ დავუჭერო, ელცინზე არაფერი თქვა, ლებედმა -ელცინმაც და კომუნისტებმაც აწყობილი ქვეყანა საბჭოთა კავშირი ერთად დაანგრიეს, მეორე ტურში მაგათთვის ხმის მიცემა როგორ შეიძლებაო. ელცინის შტაბსაც ეს უნდოდა, მეორე ტურში 6% -ით ნაკლები ამომრჩეველი მივიდა და ელცინმა 13%-იანი უპირატესობით მოიგო არჩევნები.

ის ერთი კაცი დააჯილდოვეს და დიდი მადლობები უხადეს, ხოლო ლებედი მოწყობილ ავიაკატასტროფაში დაიღუპა, მოიშორეს.

ახლა საქართველოში გადმოვინაცვლოთ, კაცს, რომელმაც რუსეთში მილიარდები იშოვა, მთლიანად გამოიტანა იქედან და არავის უთქვამს, აქ ნაშოვნი ფული აქ დალა ჯოგად აქცია, მორიგ ტესტირებას უტარებს მათაც და სხვებსაც, ეს დებილები კიდევ ვერაფერს ხვდებიან.

ნაპოლეონს აქვს ნათქვამი - თუ მოწინააღმდეგე შეცდომებს უშვებს, ხელი არ შეუშალო, დაუშვას შეცდომები და გამოიყენეო.

ის კაცი, ვისზეც ვსაუბრობ, ხანდახან გამოდის ხოლმე და ამბობს, კედელს თავს ნუ ურტყამთ, არანაირი შანსი არ გაქვთ, ვინმე ჭკვიანი იპოვეთ და ანალიზი გააკეთეთო.

ჯერ ერთი, სად ჰყავთ მათ ჭკვიანი ვინმე და მეორეც, რომ გამოჩნდეს, მას დაუჯერებენ? იდიოტს რომ რჩევას მისცემ, ის გაგიბრაზდება და გაგინაწყენდება.

ამიტომ ოპოზიციის ყველა ფლანგი და მისი მხარდამჭერები ისეთი დაბალი აზროვნების დონეზე არიან, არაფერი მათ არ ეშველებათ. მათ არ დავეძებ, მაგრამ მათ შორის ბევრი პროფესორია, ლექტორია, პედაგოგია, სტუდენტებთან და მოსწავლეებთან შეხება აქვთ და განათლებას რა ეშველება, ეგ სერიოზული დასაფიქრებელია.

იმედია, პოლიტიკური ბრძოლა მალე ჩამთავრდება და სახელმწიფო, მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაზე იქნება ორიენტირებული“.

ჰოდა, გამოდით, ყველანი უნდა დაგთვალოთ!

მაია ჭელიძე

ს.ჰ.კ. „კათარზისის“ 2024 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში

„კათარზისის“ საქმიანობა, როგორც წესი, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ეს არის ყოველდღიური, სისტემატიური საქმიანობა და პროექტები, რომლებიც, წესისამებრ, ადამიანთა ფართო ჯგუფებზეა ორიენტირებული და პერიოდული ღონისძიებების ან ერთჯერადი აქციების ხასიათს ატარებს.



ყოველდღიური საქმიანობა

„კათარზისი“, ეს არის სოციალური დახმარების კომპლექსური ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური დახმარებები, რომლებიც დღეს აქტუალურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის.

დღეს აქ ფუნქციონირებს: უფასო სასადილო, სილამაზის სალონი, პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, აფთიაქი, მეორადი ტანსაცმლით დახმარების სამსახური, ტანსაცმლის შეკეთების სამსახური, ინტერნეტ კაფე, სარეაბილიტაციო-სავარჯიშო დარბაზი, კაფე, ბიბლიოთეკა, არტთერაპიის ცენტრი, უბინაოდ დარჩენილ ხანდაზმულთა თავშესაფარი, სამლოცველო, კინოდარბაზი, იურიდიული სამსახური, თეატრალური დარბაზი და მასთან არსებული ხანდაზმულთა თეატრი. „კათარზისის“ შესახებ ფოტო და ვიდეო მასალა შეგიძლიათ იხილოთ მის ვებ. გვერდზე, მისამართზე: catharsis.ge და ფბ გვერდზე „კათარზისი Catharsis“.

სამადლო სასადილო

„კათარზისის“ უფასო სასადილო 1990 წლიდან ფუნქციონირებს და ხანდაზმულთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურია. ჩვენ ბენეფიციარებს ვთავაზობთ ნოყიერ და კალორიულ სადილებს. მენიუ მრავალფეროვანია, კვირაში ორჯერ გათვალისწინებულია საქონლის, ქათმის ხორცის ან თევზის პროდუქტები. სადილები მზადდება სეზონური პროდუქტების გათვალისწინებით. მენიუს ადგენს სპეციალური კომისია. მისი ძირითადი კერძებია : 1 - სალათი, 2 - წვნიანი, 3 - ბურღულეული სხვადასხვა დანამატით, წვენი (ჩაი, კისელი, კომპოტი, კაკაო ან ლიმონათი, პერიოდულად ხილი, ტკბილეული) და პური. სპონსორის შემოწირულობით და ჩვენი ორგანიზაციის თანამონაწილეობით ერთი დღის სადილის თანხა 495 ლარს შეადგენს.

2024 წლის ბოლოსათვის „კათარზისის“ ბენეფიციართა რაოდენობა კვლავ გაიზარდა და 580-მდე ავიდა. მთელი წლის განმავლობაში უფასო სასადილომ გასწია 120270-მდე მომსახურება. სპონსორების მიერ ფინანსდებოდა 1, 2, 3 და ა. შ. დღის სადილები. ისინი სტუმრობდნენ „კათარზისს“ და ესწრებოდნენ სადილების გაცემის პროცესს.

სარეაბილიტაციო-სავარჯიშო სამსახური

სავარჯიშო დარბაზი, რომელიც შექმნილია დაავადებების პრევენციისათვის, სარეაბილიტაციო კი - გადატანილი სნეულებების შემდგომ (ინფარქტი, ინსულტი, ხერხემლის პათოლოგიები და ა.შ.) აღდგენისათვის, ზოგადად ემსახურება ჩვენს ხანდაზმულებს და მოსახლეობის იმ კატეგორიას, ვისაც ასეთი დახმარების მიღების ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნია და არც ერთი სადაზღვევო პაკეტით არ არის გათვალისწინებული. 2024 წლის განმავლობაში ხანდაზმულებს გაეწიათ 400-მდე მომსახურება.

იურიდიული სამსახური

იურისტის საქმიანობა „კათარზისის“ ბენეფიციარების საკონსულტაციო საქმიანობით შემოიფარგლება. ამასთან, ის ასწავლის მათ განცხადების შესაგებლის, საჩივრის და სხვათა სწორად დაწერას, ურჩევს რა დოკუმენტები სჭირდებათ ამა თუ იმ დავების, სასამართლო პროცესების დროს. უწევს კონსულტაციებს საკუთარი უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე, რათა არ გახდნენ რაიმე ტიპის ძალადობის ან თაღლითობის მსხვერპლნი. 2024 წლის განმავლობაში იურიდიულმა სამსახურმა გასწია 1000-მდე მომსახურება.

ბიბლიოთეკა

„კათარზისის“ ბიბლიოთეკაში წიგნების მდიდარი ფონდია როგორც შინაარსით, ისე ოდენობით (5000-მდე). აგრეთვე, სისტემატიურად ვიღებთ ადგილობრივ პრესას. ბიბლიოთეკა დატვირთულია ღონისძიებებით და შეხვედრებით. 2024 წლის განმავლობაში გაიმართა: ახალი წლისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო, სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი საღამო, დედისა და ქალის სახე პოეზიაში, ბენეფიციარ ბიძინა ნანობაშვილის შემოქმედებითი საღამო, საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართველი მწერლები, წმინდა ნინოს გზა ქართულ მწერლობაში, შემოდგომის ფერები, თბილისი და თბილისობა, წმ. გიორგი ცხოვრებისა და წამების გზა, ასევე გიორგი კეკელიძე ეწვია სტუმრად ბენეფიციარებს. 2024 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ 4000-მდე მომსახურება გასწია.

სილამაზის სალონი

სალონი ეხმარება ხანდაზმულებს სისუფთავის და წესრიგის შენარჩუნებაში. სპექტაკლების, კონკურსების, სხვა ღონისძიებების დროს მათ სადღესასწაულო ვარცხნილობებს და შესაბამის მაკიაჟს უკეთებენ. სალონი მთელი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ხანდაზმულებს. 2024 წელს აღრიცხულია 1080-მდე მომსახურება.

ჰიგიენური მომსახურება

სათნოების სახლში ვერ მოეწყობა აბანო, ამიტომ ხანდაზმულებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოსაგვარებლად ხელშეკრულება გაფორმებულია ქალაქის აბანოსთან („ნარიყალა“), სადაც ხანდაზმულები სარგებლობენ მომსახურებით, ხოლო „კათარზისი“ იხდის მის საფასურს (6 ლარი ერთ ადამიანზე). 2024 წლის განმავლობაში დახმარების ამ ნაწილში 2396 (11980 ლ.) მომსახურება გაეწია ხანდაზმულებს.

ექიმი

საექიმო კაბინეტი და უფასო აფთიაქი ემსახურება ყველა ბენეფიციარს, ვინც სარგებლობს „კათარზისის“ მომსახურებით, აგრეთვე, სოციალურად დაუცველ სხვა მოქალაქეებს. აქ ხორციელდება პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევა. რთული შემთხვევების დროს ექიმი იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას და ხდება პაციენტის ჰოსპიტალიზაცია. აგრეთვე, პერიოდულად ხორციელდება ხანდაზმულთა უფასო გამოკვლევები სამედიცინო დაწესებულებებში ინდივიდუალური მიმართვების გზით. 2024 წლის ექიმთან ვიზიტების რაოდენობამ 4483 შეადგინა.

თავშესაფარი

თავშესაფარი ფუნქციონირებს იმ ხანდაზმული ქალბატონებისათვის, ვისაც ბინის პრობლემა აქვს (14 ადგილი). ხანდაზმულები სარგებლობენ კომპლექსის ყველა სერვისით, მათ სამჯერადი კვება და ყოველდღიური საექიმო მომსახურება აქვთ, უტარდებათ სიმღერისა და ცეკვის, არტ. თერაპიის გაკვეთილები, პერიოდულად დადიან ექსკურსიებზე. ბებიებს ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ ხელოვნების კოლექტივები. იქ მყოფ ბებიებს ყველა პირობა აქვთ უსაფრთხო და ჯანსაღი ცხოვრებისათვის: ონლაინ გადიან გამამხნევებელ ვარჯიშებს, არტთერაპიის სეანსებს; აქვთ შესაძლებლობა ისეირნონ სუფთა ჰაერზე „კათარზისის“ ეზოში.

თეატრალური დარბაზი

თეატრალურ დარბაზში ხანდაზმულთა ყოფნა - სიმღერების შესწავლა და სპექტაკლებში მონაწილეობა ბენეფიციარების სუსტი წერტილია.

2024 წელს ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა ხანდაზმულთა სასიმღერო გუნდების, თეატრალური დასისა და სტუმართა ღონისძიებები. დაიდგა და საზოგადოებას შევთავაზეთ 10 კონცერტი, მათ შორის 8 მარტის, 9 მაისის, 14 თებერვლისა და 1 ოქტომბრისადმი მიძღვნილი კონცერტი. ჩატარდა 98-ე, 24-ე, 175-ე 58-ე, 71-ე, 166-ე, 180-ე და 36-ე სკოლების მოსწავლეთა ღონისძიებები. „მწვანე სკოლა“ და სხვა კერძო სკოლების: „სადუნი“, „აი ბი მთიები“, „ბაქსვუდი“, „ევროპული სკოლა“, „ბიჯიეს“ სკოლის ღონისძიებები. გაიმართა თავართქილაძის უნივერსიტეტის, კოლეჯი „კავკასიას“, მე-8 ბაგაბაღის, საბავშვო ბაღი „მზესუმზირები“, ინდური ცეკვის ანსამბლ „ლაქშერის“ და ბაჩი ქიტიაშვილის კონცერტები. ჩატარდა საპატრიარქოს თეატრის სპექტაკლი და აზერბაიჯანელი მწერლის შამილოვის სპექტაკლ „დედამთილის“ პრემიერა. გაიმართა ღონისძიება სახელით „ამერიკული საბჭოები“. ბენეფიციარები გიორგი გაბუნიას შოუში იყვნენ მიწვეულები. ნიჭიერის მონაწილე ემზარ ნიკოლაძე ოქროს ღილაკით გადავიდა ნახევარფინალში.

კინოდარბაზი

ერთ-ერთი სასიამოვნო და საჭირო სამსახურია ხანდაზმულებისათვის, რომელიც 30 ადამიანზეა გათვლილი. ბენეფიციარების ნაწილს სახლში არ მიეწოდება ელექტროენერგია ან არ აქვს ტელევიზორი. კინოდარბაზში მათ შეუძლიათ თვალყური ადევნონ საინფორმაციო გამოშვებებს, ნახონ საინტერესო ტელეგადაცემები, ფილმები და გასართობი პროგრამები, რომელიც მათივე სურვილითაა შერჩეული. სამომავლოდ ითვალისწინება 3D ფილმებისა და გადაცემების ჩვენება.

არტთერაპია

აქ მუშაობს არტთერაპიის რამდენიმე მიმართულება: იზოთერაპია (ხატვა, ნახატის გაფერადება, ძერწვა), ცეკვის თერაპია, სიცილის თერაპია, კინოთერაპია, მუსიკათერაპია, ლიტერატურათერაპია, პოეზია - მეტყველების თერაპია, მოძრაობითი ხელოვნება ანუ ევრითმია. ყოველდღიურად ათამდე ხანდაზმული დიდი სიამოვნებით ესწრება არტთერაპიის სეანსებს.

კაფე

კაფე „ჯულის “ყოველდღიურად საშუალოდ 200-მდე ხანდაზმული სტუმრობს. მათთვის კაფე თავშეყრისა და დასვენების ის ადგილია, სადაც შეუძლიათ ესაუბრონ ერთმანეთს ფინჯან ჩაიზე, ყავაზე, მიირთვან ტკბილეული (ორცხობილა, ნამცხვარი, კანფეტი), აღნიშნონ დაბადების დღეები, სხვა დღესასწაულები, მოუსმინონ მუსიკას, მიიღონ სტუმრები. მომსახურებამ 2024 წლის განმავლობაში - 29570 შეადგინა.

ინტერნეტ-კაფე

აქ ბენეფიციარს შეუძლია შეისწავლოს კომპიუტერული უნარ-ჩვევები, ისარგებლოს ინტერნეტ-სივრცით, დაუკავშირდეს ნაცნობ ადამიანებს, გაერთოს თამაშებით. ინტერნეტ-კაფეს ხელმძღვანელობს სათნოების ძმა, რომელიც ასწავლის და პრაქტიკულად ეხმარება ხანდაზმულებს. 2024 წლის განმავლობაში ამ სამსახურმა დაახლოებით 20-ზე მეტ ბენეფიციარს გაუხსნა ახალი შესაძლებლობების ფანჯარა.

ტანსაცმლის შეკეთებისა და მეორადი სამოსით დახმარების სამსახური

სამსახური ორიენტირებულია მარტივ ოპერაციებზე: ღილების დაკერება, ელვა შესაკრავის შეცვლა, სამოსის დაგრძელება-დამოკლება, დაზიანებული ადგილების შეკეთება. ეს სამსახური უფრო მეტად დაუძლურებულ ქალბატონებს ან იმ ხანდაზმულ მამაკაცებს სჭირდებათ, რომლებიც ქალურ მზრუნველობას მოკლებულები არიან.

აქვე ნებისმიერ ბენეფიციარს შეუძლია შეარჩიოს და მოირგოს მისთვის სასურველი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი ან ნივთი. შემომწირველები არიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. 2024 წლის განმავლობაში გაწეულია 1637-მდე მომსახურება.

დასვენება-გართობის სივრცეები

ბენეფიციართა საყვარელი ადგილებია „კათარზისის“ ჰოლები - დასვენებისა და გართობის სივრცეები. პირველი სართულის შემოსასვლელ ჰოლში დამონტაჟებულია ტელევიზორი, სადაც მთელი დღის განმავლობაში გადის სპეციალურად დამზადებული ვიდეორგოლი „კათარზისის“ საქმიანობის, მოსული სტუმრების, განხორციელებული პროექტების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალები, აგრეთვე, ჩვენი ბენეფიციარების ახალგაზრდობისა და ხანდაზმულობის ასაკის ფოტოები. ჰოლების კედლებზე განთავსებულია ქართველი მხატვრების ნამუშევრების რეპროდუქციები, რის გამოც ისინი საგამოფენო სივრცის მისიასაც იძენენ. 2024 წელს გაიმართა ჩვენი ბენეფიციარის ნონა ბერაიას ფოტოგამოფენა. აქ განთავსებულია მაგიდები, რომლებიც მუდმივად დაკავებულია სამაგიდე თამაშების მოყვარულებით. განსაკუთრებით პოპულარულია: ლოტო, ნარდი, ჭადრაკი, დომინო, კარტი. იმართება შიდა ტურნირები. 2024 ტრადიციულად წელს ჩატარდა საგაზაფხულო და საშემოდგომო ტურნირები ჭადრაკსა და ნარდი, სადაც მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა ხანდაზმულმა. გამარჯვებულებს და საპრიზო ადგილებზე გასულებს გადაეცათ ფულადი პრიზები.

მწოლიარეთა დახმარება

მწოლიარე ხანდაზმულებს თვეში ერთხელ ბინაზე მიეწოდება აუცილებელი, პირველადი საჭიროების მშრალი პროდუქტი (12-14 დასახელების), პირველადი მოხმარების ნივთები. ეს ძირითადად ის ადამიანები არიან, რომლებიც წლების განმავლობაში სარგებლობდნენ დღის ცენტრის მომსახურებით და შემდეგში გადაადგილების უნარი შეეზღუდათ. 2024 წელს მწოლიარეს 272-ჯერ გაეწია მომსახურება.

სადილი ყველას

2002 წლის ოქტომბრიდან გაგრძელდა პროექტი „სადილი ყველას“, რომლის მიზანია ყველა იმ ადამიანის დაპურება, ვინც გამოცხადებულ დღეს ჩვენს ორგანიზაციას ეწვევა: ხანდაზმულები, დევნილები, მრავალშვილიანები, ე.წ. „ქუჩის ბავშვები“, ყველა მსურველი. ღონისძიებამდე 5-6 დღით ადრე თბილისის ქუჩებში იკვრება 10 ორმხრივი საგზაო ბანერი წარწერით - „სადილი ყველას“ (სურვილისამებრ მას ებმება აქციის სპონსორის ლოგო), რაც სოციალურად დაუცველი თბილისელებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი, ხოლო ტელეეთერით, როგორც წესი, გადის სოციალური ვიდეორგოლი.

2024 წელს ტრადიციულად პირველი ასეთი ღონისძიება ჩატარდა 7 იანვარს. საშობაო ღონისძიების სპონსორი იყო ფარმაცევტული კომპანია „ავერსი“ (ბიუჯეტი - 6704,48 ლ.). 14 იანვარს კომპანია „ბეკოს“ დახმარებით გაიმართა „სადილი ყველას“ (ბიუჯეტი - 6704,48). კომპანია „ავერსის“ სპონსორობით გაჭირვებული მოსახლეობა დაპურდა სააღდგომოდ, 5 მაისს (ბიუჯეტი - 7214,48 ლ.) 26 მაისს აქციის სპონსორი იყო „საქართველოს რკინიგზა“ (ბიუჯეტი - 6704,48). 14 ნოემბერს კვლავ კომპანია „ავერსმა“ საკუთარ დაბადების დღეზე 1500-მდე სოციალურად დაუცველ ადამიანს შესთავაზა ცხელი სადილი (ბიუჯეტი - 6704,48 ლ.).

"წლის ბებია-ბაბუა 2024"

მეხუთედ ამ პროექტის ისტორიაში, ხანდაზმულთა ტრადიციული საშობაო წარმოდგენა-კონკურსი წლის „ბებიასა“ - წლის „ბაბუას“ წოდებების მოსაპოვებლად 15 თებერვალს გავიდა ტელეიმედის ეთერში, გადაცემაში „პრაიმ შოუ“. 2024 წლის ღონისძება გამოირჩეოდა საკონკურსო ნომრების მრავალფეროვნებით. ხანდაზმულები ერთმანეთს შეეჯიბრნენ სიმღერაში, ინსტრუმენტებზე დაკვრაში. კონკურსი ძალზე პოპულარულია მთელი საქართველოს მასშტაბით. მასში მონაწილეობა მიიღო 15-მა ხანდაზმულმა როგორც თბილისიდან, ისე რეგიონებიდან (ახმეტა, ზუგდიდი, ჩოხატაური, ბაღდათი, სიღნაღი, ყვარელი, ბოდბისხევი, გორი, გარდაბანი, დმანისი, ნინოწმინდა).

ჟიურის წევრები, რომლებმაც გამარჯვებულები გამოავლინეს იყვნენ „პრაიმ შოუს“ ხუთივე წამყვანი და კომპანია „ბეკოს“, ამ კონკურსის სპონსორის წარმომადგენელი. წლის

„ბებია -2024“-ის ტიტული, ჟიურის გადაწყვეტილებით, ორ ბაბუას: ემზარ ნიკოლაძეს (79 წლის, თბილისი, „კათარზისი“) და სარუხან კარსლიანი (74 წლის, ნინოწმინდა) მიენიჭა, ხოლო წლის „ბებია-2024“ გახდა ლეილა ფხოველიშვილი (72 წლის, ბოდბისხევი). გამარჯვებულებისათვის დაწესებული იყო ფულადი პრიზი 2000-2000 ლარის ოდენობით. კაცების შემთხვევაში, ტიტულის გაყოფასთან ერთად, აღნიშნული თანხა ორად გაიყო, ხოლო წლის „ბებიას“ შემთხვევაში - 2000 ლარი შეადგინა. ყველა მონაწილე-კონკურსანტს გადაეცა 300-300 ლარი თითოეულს. ამასთან, ღონისძიებაში მონაწილე ყველა ხანდაზმულმა მიიღო საჩუქრები სპონსორისაგან.

9 მაისი

„კათარზისი“ ყოველი წლის 9 მაისს ულოცავს მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს: იმართება საკონცერტო ღონისძიებები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც ხანდაზმულთა, ისე მოწვეული სასიმღერო თუ საცეკვაო გუნდები. 2024 წლის 9 მაისის ღონისძიება-კონცერტი გაიმართა „კათარზისის“ ეზოში.

დახმარება უკრაინელებს

უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე „კათარზისი“ აქტიურად ჩაერთო ჰუმანიტარული დახმარების პროცესში: მოგროვდა და გაიგზავნა ტვირთის საკმაოდ მოცულობითი რაოდენობა: ტანსაცმელი (როგორც თბილი, ისე საზაფხულო), პლედები, პირველადი მოხმარების ნივთები. გარდა ამისა, უკრაინიდან ლტოლვილები სარგებლობენ ყველა იმ სოციალური სამსახურით, რომელსაც „კათარზისი“ თავის ბენეფიციარებს სთავაზობს: სადილი, ტანსაცმელი, ექიმის, იურისტის, სალონისა და აბანოთი მომსახურება და ა.შ. 2024 წლის განმავლობაში უკრაინიდან ლტოლვილ მოქალაქეებს ყველა სოციალურმა სამსახურმა ჯამურად 720 მომსახურება გაუწია. დახმარების პროცესი კვლავ გრძელდება.

1 ოქტომბერი – ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე

2024 წლის 1 ოქტომბერს „კათარზისმა“ კვლავ მიულოცა ხანდაზმულებს თავისსავე სადღესასწაულოდ მორთულ ეზოში გამართული ულამაზესი ღონისძიებით: მოწვეული სტუმრებისა და ხანზამულების მიერ შესრულებული საკონცერტო ნომრებით, საცეკვაო კარნავალით. ხანდაზმულთა დღის შესახებ საზოგადოებას შეახსენა სატელევიზიო და სოციალურ ქსელებში აქტივობებით: სამი დღის განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადიოდა ხანდაზმულთა დღის მისალოცი შინაარსის ვიდეორგოლები; ამავე პერიოდის განმავლობაში ხანდაზმულთა თემატიკით და მილოცვებით დატვირთული იყო სოციალური ქსელები.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა

2016 წლიდან ხორციელდება „კათარზისსა“ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი პროექტი სახელწოდებით - „განრიდებისა და მედიაციის პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც პირები, რომელთაც მიესაჯათ პირობითი სასჯელი, ყოველდღიურად, სამინისტროს კურატორთან ერთად მოდიან „კათარზისში“ და ემსახურებიან ხანდაზმულებს. 2024 წელში მათმა რიცხვმა 1227 შეადგინა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის განსაზღვრული საათების შესაბამისად.

მემორანდუმი GWP-სთან

2024 წლის აგვისტოდან კვლავ გაგრძელდა ერთწლიანი მემორანდუმი „კათარზისსა“ და GWP-ს შორის, რომლის ფარგლებშიც **GWP** ფარავს „კათარზისის“ მიერ გახარჯული წყლის ყოველთვიური ხარჯიდან 600 ლარს.

ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც ასოციაცია „კათარზისი“ ეწევა, არის ფართების გაქირავება. დღეისათვის იჯარით გაცემული გვაქვს 98 კვ. მ. ფართი, რომლიდანაც 2024 წლის შემოსავალმა შეადგინა 52269,68 ლარი.

2024 წლის საბუღალტრო დოკუმენტაცია: პროგრამული ანგარიში გაწეული საქმიანობისა და მიღებული შემოსავლების შესახებ, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) განთავსებულია „საერთო გაზეთში“ N12 (789); 2025 წ.

ს.ჰ.კ „კათარზისის“ პრეზიდენტი
ზაურ ალადაშვილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის კათარზისის მფლობელებს და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ შევამოწმეთ სჰკ კათარზისის (კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშები, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ანგარიშს ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშები“) შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშები მომზადებული იქნა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების („ფასს”-ების) შესაბამისად.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სჰკ კათარზისის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

• ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

• მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;

• საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;

• ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის; და

• ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ აქვს ჩატარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ნაშთებზე (99,506 ლ). შესაბამისად, ჩვენ ვერ დავესწარით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის პროცესს წლის ბოლოს. ალტერნატიული მეთოდებით ვერ შევძელით საკმარისი მტკიცებულების მოპოვება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ნაშთებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლი ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ სჰკ „კათარზისი“-ს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფასს - ის შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

ფინანსური ანგარიშის მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე მისი ფუნქციონირების შეუწყვეტლად, ინფორმაციის გახსნაზე, როდესაც მისაღებია, ფუნქციონირების უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და საქმიანობების განხორციელების უწყვეტობის საფუძველზე ანგარიშგების გამოყენებაზე, თუ მენეჯმენტი მიზნად არ ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან არ წყვეტს ფუნქციონირებას, ან არ გააჩნია რაიმე შესაბამისი ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, როდესაც იგი არსებობს, ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიჩნეულია, როგორც არსებითი, თუ, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, მათგან გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რაც მიღებულია ამ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით, როგორც ISA-ს თანახმად ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის საშუალებით, ჩვენ აგრეთვე:

ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, ვადგენთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და გავცემთ აუდიტის დასკვნას, რაც საკმარისია და შესაბამისია, იყოს ჩვენი მოსაზრების საფუძველი. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების

ვერ-აღმოჩენის რისკი მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო წარმოშობილი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, სიყალბეს, მიზანმიმართულ გამოტოვებებს, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უკუგდებას.

• შიდა კონტროლის მიღება და გაცნობიერება, რომელიც აუდიტის შესაბამისია, რათა ჩამოყალიბდეს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან,

მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.

• გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის და საბუღალტრო გაანგარიშების და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული მასთან დაკავშირებული აღმოჩენების გონივრულობის შეფასება.

• დასკვნის გაკეთება მენეჯმენტის მიერ ანგარიშგებისას ფუნქციონირობის უწყვეტობის საფუძველის გამოყენების შესაბამისობის შესახებ და, მიღებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანის ფუნქციონირების უწყვეტობის უნარის შესახებ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენს აუდიტის დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშებში მოცემულ მასთან გამოვლინებებს, ან, თუ აღნიშნული გამოვლინებები არის არადეკვატური, შევასწოროთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.

• ფინანსური ანგარიშების მთლიანი წარმოდგენის, სტრუქტურის და შინაარსის შეფასება, აღმოჩენების ჩათვლით, და წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები საფუძვლად დადებულ გარიგებებს იმგვარად, რომ დაცული იყოს კეთილსინდისიერება.

ჩვენ დავუკავშირდით მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დადგენილი ფარგლების და დროის განრიგის და აუდიტის მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლებობის ჩათვლით, რაც ჩვენ აუდიტის განმავლობაში აღმოვაჩინეთ. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ აგრეთვე მივაწოდეთ განცხადება, რომ ვიცავთ დამოუკიდებლობის შესახებ ეთიკის მოთხოვნებს და ვაცნობეთ ყველა კავშირის და სხვა საკითხების შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად დააბრკოლოს და კავშირი ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობასთან, და აგრეთვე ვაცნობეთ, სადაც საჭიროა, მასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებები.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია მალხაზ უჯმაჯურიძე (სარეგისტრაციო ნომერი saras-a-965206).

„შპს იგალ“-ის სახელით.
თბილისი, საქართველო
26 მარტი, 2025

®

ჩილოდან – აფრიკის სავანებსა და ვიეტნამის ჯუნგლებში

(გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ N8)

ამათთვის ყველაზე გემრიელი მაიმუნის ხორციაო, — მუშებმა მოათრიეს მაიმუნი და მანქანაზე დააგდეს. ჩამობნელდა. ჩემი სროლის ჯერი დადგა. გავიკეთე ელექტრონათურა და ვხედავ ანტილოპის თავს უაღრესად ლამაზი ცისფერი თვალებით. თოფმა იჭექა და მუშები გაიქცნენ ანტილოპისკენ. ჟოაომ ბეჭებზე დამკრა ხელი — მუშებმა 7 წლის ანტილოპა მოათრიეს. დავსხედით სავაშხმოდ და დამწვრის სუნი შემოვიდა გარედან. გავედით საქმეში გასარკვევად — მუშებს კოცონი დაენთოთ და მაიმუნი გაეტრუსათ. საშინელი დასანახი იყო გატრუსული მაიმუნი მსხვილი და გრძელი პენისით... ჩემი მოკლული ანტილოპას რქები მე გადმომცეს და ამჟამად ჩემს კოლექციას ამშვენებს თბილისში.

ჟოაოს წიგნების კარადაში ჰქონდა მის მიერ მოკლული ერთ--ერთი ლომის თავი, — კარგად ემჩნეოდა შუბლში გავლილი ტყვიის ნახვრეტი. ლომებზე მონადირეები პროფესიონალები არიან, ცდილობენ, რომ ლომს თავის არეში მოარტყან, რადგან დაჭრილი ლომი აუცილებლად თავს ესხმის მონადირეს.

ჟოას ჰქონდა ორლულიანი, მსხვილი კალიბრის ჩახმახიანი თოფი, ორივე კალიბრი ნარიზიანი, ბელგიური. მან გვითხრა, რომ ლომზე მისი პირველი ნადირობა ტრაგიკულად დამთავრდებოდა მის მეგობარ პროფესიონალებს რომ არ ემარჯვათ.

გეოლოგიურ მარშრუტზე ყოფნისას არაერხელ შევხვედრივართ ლომებს. ერთ დღეს მივდივარ „უაზით“. ჟინჟღლავს და თან ბურუსია. უცბად მძღოლმა მანქანა გააჩერა, იქ ლომია დაწოლილიო. გზის გარდიგარდმო მამალი ლომი იწვა ჩვენგან ზურგშექცეული. მანქანის ხმაზე თავი ჩვენკენ მოაბრუნა, რამდენიმე წუთი გვიყურა, თავი ისევ მიწაზე დადო და კუდი ისე მძლავრად დაარტყა მიწას, რომ ხმა გავიგეთ. მოზამბიკელმა მძღოლმა გვითხრა, ფეხი არ გადაადგათ მანქანიდან, თორემ შეიძლება თავს დაგვესხას, ტორის ერთი ჩამოკვრით გახევს ტენტსო. დაახლოებით ერთი საათი ველოდეთ, რომ ამდგარიყო... ლომებზე მონადირე პროფესიონალები ამბობენ, რომ გაშლილ ადგილზე ლომი თუ გამოგეკიდა, უნდა გაჩერდე და თვალებში უყურო, ასეთ დროს, ხშირ შემთხვევაში, ლომი იბნევა, ჩერდება და მიდის, მაგრამ თუ გაიქეცი, დაგიჭერს...

საძაგელი ბუზი ცეცე ამჟამად ცნობილია მხოლოდ აფრიკის კონტინენტზე, თუმცა ერთი საუკუნის წინათ გავრცელებული იყო ამერიკის კონტინენტზეც. ადვილად შეგვიძლია განვასხვავოთ ცეცე ოთახის ბუზისგან. ოთახის ბუზი მიცოცავს და და რაიმე საგანზე დამჯდარი ზურგზე მარაოსავით იწყობს ფრთებს, ცეცე კი სწრაფად დარბის და ფრთებს მჭიდროდ იწყობს ერთმანეთზე, ცეცეს მოკვლა იოლი არ არის, მოტეხილი ფრთებით და ფეხებით სწრაფადვე გამოჯანმრთელდება და ახალი ძალით იწყებს კბენას. ცეცეს რომ დაიჭერ, უნდა გასრისო, მაგრამ ჩვენი მძღოლი ამტკიცებდა, რომ გასრესვაც არ შველის, აუცილებელია თავის წაწყვეტა.

ოთახის ბუზებიდან მხოლოდ დედალი იკბინება, ცეცე კი ორივე სქესისა. ხორთუმის თავში აქვთ ბასრი კბილები, რომლის საშუალებითაც „ბურღავენ“ მსხვილფეხა საქონლის ტყავს და პოულობენ სისხლძრღვს, ხვრეტენ მას და აფრქვევენ თავის ნერწყვს, რომ სისხლი არ შედედდეს.

სხვა ბუზებისაგან განსხვავებით, დედალ-მამალი ცეცე ერთი საათის განმავლობაში წყვილდება, რის შემდეგაც დედალი ცეცე განაყოფიერდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ცეცე კვერცხებს არ დებს. მის სხეულში მწიფდება ერთადერთი კვერცხი, საიდანაც გამოიყოფა ერთი სანტიმეტრის სიგრძის მატლი, რომელსაც დედა ცეცე მარხავს ფხვიერ მიწაში და 35 დღის შემდეგ იქიდან გამოძვრება ახლად დაბადებული „მუხა ცეცე.“ ცეცეს 20-ზე მეტი სახეობაა და მათგან 9 სახეობა იწვევს ადამიანებისა და მსხვილფეხა საქონლის გადამდებ ავადმყოფობას. ცეცეს კბენის შედეგად დაავადებულ ადამიანს ეწყება თვის ტკივილი კეფის არეში, აქვს მაღალი სიცხე, იწყებს გახდომას და უქვეითდება ტვინის მოქმედება. უკვე ავადმყოფს ემჩნევა სულიერი დარღვევის ნიშნები, ჩავარდნილია ნახევრადმძინარე

მდგომარეობაში და იღუპება. ამჟამად მედიცინას უკვე ნახევრადმძინარე მდგომარეობაში მყოფი ადამიანის გადარჩენა შეუძლია.

ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა „შერკინება“ ცეცეს არმიასთან. წვიმების სეზონის დამთავრების დროს გადავდიოდით მდინარე ლიმპოპოზე და დაახლოებით ასამდე ცეცე შემოგვივარდა „ლენდ-როვერის“ კაბინაში. მძღოლმა, მანუელმა, სასწრაფოდ დააძრო სანთებელა და გაანადგურა მწერები, — თუთუნის მწეველი და მისი „აღჭურვილობა“ გამოგვადგა.

მეორე შემთხვევა მდინარე ზამბეზის მარჯვენა ფერდზე გვქონდა. აქ უკვე ცეცეს დიდი გუნდი დაგვესხა თავს და დიდხანს ვებრძოლეთ. იქაც მანუელმა იმარჯვა და ერთი ბოთლი რუსული არყით დავაჯილდოვეთ.

საველე სამუშაობის დროს გეოლოგიური პარტიები ახალი ხორცით მარაგდებოდნენ. ამისთვის პროვინციის გუბერნატორი პარტიას თოფით და მონადირით უზრუნველჰყოფდა — ნადირობდნენ ანტილოპაზე და ტახზე. მონადირეები ხშირად უჩინარდებოდნენ და ვრჩებოდით დღეების განმავლობაში უხორცოდ. მივხვდით, რომ მონადირეებს თავიანთი „ბიზნესი“ ჰქონდათ — ნანადირევის ნაწილს ჰყიდდნენ.

ერთხელ ნანადირევი ტყავის გარეშე მოიტანეს — ვშიშობდი, რომელიმე მხეცის ხორცი არ შემოგვატყუონ-მეთქი და ამიტომ ტყავს ვითხოვდი. მოვედით მარშრუტიდან, საშინლად გვშია. ჩინებული მზარეული გვყავდა, პორტუგალიელებთან ნამუშევარი მოზამბიკელი. მოგვართვეს ჩინებული სოუზი ბრინჯით — თქვეს, რომ მონადირემ გაზელი მოკლა. ოცდახუთნი ვიყავი: მე, ორი ბულგარელი, ერთი რუმინელი და დანარჩენი ადგილობრივი პერსონალი. სადილის შემდეგ გვითხრეს, რომ გაზელის კი არა, მაიმუნის სოუზი ყოფილა. აღვშფოთდით, მაგრამ გვიანი იყო. გავაგდეთ ის მონადირე და სხვა მოვიყვანეთ, რომელიც თითქმის სეზონის ბოლომდე დარჩა ჩვენთან.

დედაქალაქში საქმეებზე გამომიძახეს და ორი კვირა არ ვყოფილვარ ჩემს სამუშაო ადგილზე. რომ დავბრუნდი, აღმოჩნდა რომ ამ ხნის განმავლობაში ხორცი არ უჭამიათ, ცარიელ ბრინჯზე იყვნენ. სასწრაფოდ წავედით მონადირესთან, რომელმაც თავი იმართლა, უმანქანობის გამო არ შემეძლო ნანადარივის მიტანაო.

ჩავსხედით „ლენდ-როვერში“ ხუთი მონადირე, მხეცებზე გაწვრთნილი ხუთი ძაღლი და მივედით იქამდე, სადამდეც მანქანა მივიდოდა. მონადირეები ამ ადგილზე ჩერდებოდნენ და აუცილებლობის შემთხვევაში, ღამესაც ათევდნენ. აქ იდგა მაღალი ხე და იქვე ახლოს წყლის გუბეც იყო, რაც იშვიათობაა აფრიკაში.

შუადღეა, საშინლად ცხელა, ცუდი დროა ნადირობისთვის, რადგან ყველა ცხოველი ჩრდილშია მიმალული. ჩვენი მონადირე, ჟუაო მარწმუნებდა, ამ დროს სასურველი ნადირი არ შეგვხვდებაო, მაგრამ მაინც ვიხეტიალეთ მზის ჩასვლამდე. საშინლად დავიქანცეთ, მაგრამ ხორცის გარეშე ვერ წამოვიდოდით. ჟუაომ მათთან დარჩენა და ღამის გათევა შემომთავაზა. დავთანხმდი. გამიმზადეს საწოლი — ხის ახლოს გაშალეს მშრალი ფოთლები. ქვეწარმავლების მეშინია, მაგრამ ჟუაომ დამამშვიდა, ხის გარშემო ბალახი დავწვით, თანაც ძაღლები ქვეწარმავლებზეც დაგეშილები არიანო. ისეთი დაღლილი ვიყავი და ისე მეძინებოდა, რომ გავიშხლართე ბალახებზე, ახლოს ორი ძაღლიც დამიბეს.

მაია ჭელიძე

(გაგრძელება იქნება)

ჩვენს და ჩვენი გაზეთის დიდი ხნის ერთგულ მეგობარს, ნაღდ ქართველს, სამშობლოზე შეყვარებულ ნამდვილ კოლხ რაინდს, შესანიშნავ მამასა და მეუღლეს, უბადლო ბაბუას და, უბრალოდ, კარგ ადამიანს

დავით ინჯიას

ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ მრავალჟამიერ ჯანიერ სიცოცხლეს, ულევ სიხარულს, სიკეთესა და ბედნიერებას თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

„საერთო გაზეთი“

ექიმი ფიტომანანუალური თერაპევტი, ირმა სიხარულიძე, მკურნალობს ტრადიციული და გამოცდილი მეთოდით.

თუ გაწუხებთ რადიკულიტი, მარილები, ოსტეოქონდროზი, ხერხემლის თიაქარი, ართრიტი, ართროზი, ქუსლის დეზი, ხერხემლის და სახსრების ნევრალგიური და რევმატული დაავადებები, გთავაზობთ მკურნალობას ოპერაციის გარეშე.

საკონტაქტო ტელ: 551 50-89-07; 577 92-67-72

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი

შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“

მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა

რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გელა ზედელაშვილი, თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.

http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983

2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აღლაძის 39. ტელ: 234-39-99